”მე შენ მიყვარდი, შენ მნამდი, შენ გემსახურებოდი, როგორც შემეძლო”...



# ნიკოლაძის გზით

ეროვნულ-საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაზეთი №3 (281) 27 მარტი, ოთხშაბათი, 2019 წელი; ფასი 1 ლ.

### დემოკრატიის პარადოქსები



## ვიდრე ,,ნაცები” ,,ოცნების” გასამართლებას მოითხოვდნენ

ძველი გვარდია გვიან ხომ არ გაახსენდათ?

მე-2გვ.



საქართველოს ყავს ჟღუნდიდელი, საქართველო აღმაშენებლის მოლოდინშია

გრიგოლ რობაქიძე

## დავით აღმაშენებელი

მე-4გვ.

### დიდი იუბილე

,,ვლოცავ დღეს ჩემი გაჩენის, ბედნიერი ვარ მე”

## ჯანო დანელია -70

დიდი მხატვარი,მომღერალი და მოქალაქე, ჩვენი ნიკალა

მე-6გვ.



### სიკეთესთან და სიყვარულთან წილნაყარი

## დიდ იუბილეს ვულოცავთ!

მზია ბახტაძე - დვაწლმოსილი დირექტორი, პედაგოგი და მოქალაქე

მე-5გვ



### საუკუნის მშენებლობა



ფოთში წყალარინების სისტემის მშენებლობა მიმდინარეობს

მე-3გვ



აღიარება

***,,ვნების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულით ტკბობაში “***

მილოცვა გურამ კარტოზიას

მე-4 გვ.

### კაპარჭაზე ისევ გაიმართება სპორტული ასპარეზობები

20 წლის შემდეგ ფოთში მდინარე კაპარჭას კალაპოტი პირველად გაიწმინდება.

მე-3გვ



### ჩვენი საზრუნავი



ომარ ხუხუნი

მე-2 გვ.



თამარ ფაჩულიას საავტორო სკოლის ბრენდი

## წიგნის საჯარო კითხვის საათი სკოლაში

მე-5გვ



ტურისტული ინფრასტრუქტურის პროგრამით მალთაყვის განაშენიანება გრძელდება

მე-3გვ

სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს წარმომადგენლები ფოთში ყოფილი ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმის შენობის მდგომარეობას გაეცნენ.

მე-3გვ



## ფოთში ახალი მეტეო რადიოლოკატორი ამოქმედდა

მე-3გვ



*30 წლის განმავლობაში ფოთელების განუხორციელებელი ოცნება- ფოთის ღრმაწყლიანი პორტისა და ბულვარის პროექტი*



*30 წელია ფოთის ღრმაწყლიანი პორტის მშენებლობის საინიციატივო ჯგუფი ჯემალ გერსამიას ხელმძღვანელობით ითხოვს მთავრობის მხარდაჭერას, ამის თაობაზე უამრავი სტატიები დაიბეჭდა რესპუბლიკურ გაზეთებში,გადაიცა ტელევიზიით, ხელისუფალნი დუმან, როდემდე?*

*სამწუხაროდ, ექსპერტ -ანალიტიკოსი ბატონი დემურ გიორხელიძე ერთ-ერთ ინტერვიუში ეჭვს გამოთქვამს ფოთის პორტის პერსპექტივასთან დაკავშირებით. კარგი იქნება,თუ გაეცნობა გაზეთში „ნიკოლაძის გზით” (2019 წლის24 იანვარი) დაბეჭდილ სტატიას: „ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს”- „ქვეყნის სამხედრო-გეოსტრატეგიული სიმდიდრე არ უნდა იყიდებოდეს”.*

*თუ სურვილი ექნება საინიციატივო ჯგუფი შეხვდება მას.*

**დემოკრატიის პარადოქსები**

ძველი გვარდია გვიან ხომ არ გაახსენდათ?

## ვიდრე „ნაცები" „ოცნების" გასამართლებას მოითხოვდნენ



ქვეყნის დამოუკიდებლობა, უპირველესად ხალხის დამოუკიდებლობაა, რომელიც ნელნელა ტოვებს საქართველოს.

ამ ქვეყნად ყველაფერი რომ რეალური შედეგებით იზომება, არახალია, არადა, შედეგები ვერაა ისეთი როგორც იყო გათვლილი, როგორი მოლოდინიც იყო. სიტყვით დემოკრატიის შუქურა კარგახანია ვართ, პოლიტიკური ცხოვრებაც დუღს. იბადება ახალი პარტიები (200 გადააჭარბა). ყველას მისი ინტერესები ქვს. ამ დროს ქვეყანა ერთია და ყველას უნდა აერთიანებდეს მისთვის ზრუნვა, მაგრამ რეალურად ასე არ არის.

2012 წლის ხალხის საპროტესტო ერთობა ბევრი ფაქტორით იყო განპირობებული-ნაცების პარტია თუ მოძრაობა, ძლადობრივ რეჟიმად ჩამოყალიბდა. პიროვნების თავისუფლების ფეხქვეშ გათელვა, სოციალური ჩაგვრა, ხალხის სიღარიბე, როგორც მართვის მეთოდი და სხვა უბედურება. ამ საპროტესტო ტალღის დარტყმას ხელისუფლება ვერ გაუძლებდა. და შეიქმნა ყველა პირობა, ახალი პოლიტიკური ძალებისათვის, რომელსაც იოლად შეეძლო აეყოლიებინა გამწარებული ხალხი დაპირებებით, რომ აღსდგებოდა სამართლიანობა, შეწყდებოდა მოქალაქეთა ტერორი, ძალადობა. ადამიანებს ექნებოდა ცხოვრების ნორმალური პირობები და ა. შ. თითქოს არ უნდა ყოფილიყო ძნელი ამ ამოცანების გადაწყვეტა, მაგრამ სამართლიანობის აღდგენის ნაცვლად მოხდა კოჰაბიტაცია. ძალადობრივ რეჟიმთან და სხვა პოლიტიკური ძალები გაყვანილ იქნა ბოლიტიკური არეალიდან. ,,ოცნება" უმრავლესობით მოვიდა პარლამენტში და, სამწუხაროდ, თანდათან ერთპარტიულობის ნიშნებიც გამოიკვეთა. პარალელურად იზრდებოდა ხალხის უკმაყოფილება, რაც, უპირველესად, უმუშევრობით და სიღარიბით იყო გამოწვეული, აკი პრემიერმა ახსენა ამასწინათ, რომ საქართველოს ორი მტერი ყავს-ოკუპაცია და სიღარიბე. ერთმაც და მეორემაც ქართველებს საქართველო დაატოვებინა.

ქვეყანამ უმოკლეს პერიოდში ყველა პოლიტიკური წყობა გაიარა-სოციალისტური, კაპიტალისტიური, იყო საპრეზიდენტო რესპუბლიკა, ახლა საპარლამენტოა. თუმცა პრეზიდენტი საერთო სახალხო კენჭისყრით ავირჩიეთ. ასეთი ლეგიტიმაცია არააქვს არც პრემიერს, არც პარლამენტის თავმჯდომარეს. რამდენად არის დაცული სახელისუფლებო ბალანსი - ძნელი სათქმელია. ხელისუფლებები იცვლებიან, უცვლელია ძალაუფლებით გატაცება და ხალხის დუხჭირი მდგომარეობა. როგორც სტიმული ახალი ხელისუფლების მმართველობაში მოსვლისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის მოსახლეობა ლამის განახევრებულია, სახელისუფლებო სისტემებს არაფერი აკლდება, იგივეა პარლამენტართა რაოდენობა, რომელიც დიდ ქვეყნებსაც შეშურდებოდათ, სამინისტროების ნაკლებობასაც არ განვიცდით, ამას დავუმატოთ ათასობით ჩინოვნიკები, რომელთა ხელფასებს ევროპა შენატრის. ჩვენ ევროპაში იმითაც ვართ, რომ ქართველები თავშესაფრის საძებნელად გადიან. თურმე 300 ათასმა კაცმა ისარგებლა ევროპული ვიზალიბერალიზაციით, მაგრამ არამგონია ყველა ტურისტი იყოს. ნახევარზე მეტს ცხოვრებაც და ოცნებაც დაენგრა, თუმცა ეკონომიკური მიღწევებით ვტრაბახობთ -ასევე ნატო და ევროპა რეიტინგებით და იმედებით გვასაზრდოებს. იმ დროს, როცა ნახევარი ქართველობა საზღვარს მიღმაა და მხოლოდ რუსების მიერ საზღვრების დარღვევებზე არ უნდა ვწუხდეთ და ვიშვიშებდეთ. ეს სახელმწიფო თავის ლიდერიანად აგრესიით სულდგმულობს, ამას უკავია პუტინის ხელისუფლება, მაგრამ ერთ დროს ესეც დამთავრდება. ჩვენ უნდა მოვეშვათ მტრის ხატების ძებნას შინ თუ გარეთ. თუ ხმას არ მოგვცემთ - ,,ნაცები" მოვლენ, უკვე არარ ჭრის ეს შეძახილი, რაც აჩვენა საპრეზიდენტო არჩევნებმა. დასკვნები არ ჩანს, ისევ დემოკრატიული პარადოქსებით ვაგრძელებთ ცხოვრებას. ,,ნაცები" მათსავე წიაღში შობილი მოსამართლეების მურუსიძე-ჩინჩალაძეების კლანის წინააღმდეგ გამოდიან და ხლა ხალხის მხარეს დგანან. ,,ოცნება" კი პირიქით, ამ კლანს იცავს. გამოდის ,,ნაცები" ,,ნაცების" წინააღმდეგ, ,,ოცნება" კი ძველი მოსამართლეების მხარდამჭერია. ამით იგი მორალური და პრინციპული არჩევანის წინაშე დადგა. პარტია დატოვეს ე.წ. ძველმა გვარდიელებმა. უმრავლესობა თავის პოზიციაზეა. მოკლედ, რა მნიშვნელობა აქვს დემოკრატიული დიქტატურა ერთი კაცის ხელშია თუ ბევრის - მაინც წინააღმდეგობაში ვართ დემოკრატიასთან, ალბათ, ერთ დროს ესეც გამოსწორდება - ჩვენ ხომ ვბაძავთ ცივილიზებულ ქვეყნებს, სადაც ხალხი ირჩევს პრეზიდენტს, პრემიერს, მინსტრებს, პოლიციის, პროკურატურის ხელმძღვანელებს, მოსამართლეებს და ა. შ. ცალკე საკითხია არაფორმალური მმართველობა, როგორც დემოკრატიის ახალი სახეობა. მხოლოდ ქართველებს შეგვიძლია ასეთი რამ. ერთმანეთს შევუთავსოთ ფორმალური და არაფორმალური დემოკრატია თუ მმართველობა. თუმცა, ესეც განსაზღვრა სააკაშვილის ძალადობრივმა რეჟიმმა, რომელსაც უნდა დაპირისპირებოდა პიროვნული ფაქტორი დიდი ფინანსური რესურსებით. ბიძინა ივანიშვილმა შეძლო ეს შავი ჭირი მოეცილებინა ქვეყნისათვის, მეტი არ უნდა მოვსთხოვოთ მას, რამდენადაც არ აქვს პოლიტიკური გამოცდილება, თანაც ბევრმა უღალატა. საქართველოში ვერ შედგა პარტიული ცხოვრება.იგი ეიფორიებს, რევოლუციებს და მიტინგებს ვერ გასცილდა და მხოლოდ ხელისუფლებაში ყოფნით შემოიფარგლება, რაც საკმარისი დროა პირადი კეთილდღეობისათვის, რასაც სახელმწიფო ინტერესები არ უნდა ეწირებოდეს. დღეს ოპოზიციას არა აქვს ხალხის ნდობა. რამდენადაც, მათაც პირადი საქმეები აკეთეს პოლიტიკურ ნიღაბს ამოფარებულებმა. უფრო უარესი -,,ნაცების" მხარეზე გადავიდნენ. ხალხი დაიბნა, არ იცის ვის მიეკედლოს. არჩევანი არ ამართლებს, როცა სახელმწიფო საქმეს არასახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანებს ვანდობთ. არ არსებობს რაიმე მექანიზმი იმათი გაწვევისათვის, ვინც არ ასრულებს დანაპირებს. ქვეყანა არჩევნებიდან არჩევნებამდე ცხოვრობს. ყოველ მეორე წელს ეს კამპანია იმართება. თუმცა, საჭირო კადრებს, კომპეტენტურ ადამიანებს ვერ ვარჩევთ. არადა, პარლამენტში პოლიტიკოსები უნდა იყვნენ და არა კულტურისა და სპორტის მუშაკები. ოპოზიციური პარტიები მაჟორიტარული სისტემის წინააღმდეგია, თუმცა, ბევრ მოწინავე ქვეყანაში იგი მიღებულია. რა არის ცუდი იმაში, პირადად იცნობდე კანდიდატს. მთავარია სწორი არჩევანი. ან პარტიული სიით რატომ ვართ დაზღვეული, რომ ყველა კარგი პოლიტიკოსია.

ბიძინა ივანიშვილი ძველელ გვარდიას მიუბრუნდა, მაშინ, როცა ყველა სახელისუფლებო რგოლებში ნაცები არიან პორტირებული. ხოლო ვინც თავი გადადო - ხელისუფლების მიღმა დარჩა. და მათი მობრუნება ცოტა საეჭვოა. არავინ ელოდა მოვლენების ასეთ განვითარებას. სად არის გამოსავალი? რომელ პარტიას შერჩა ხალხის ნდობა - ძნელი სათქმელია. ახლა ისიც დავუშვათ ბიძინა ივანიშვილმა დატოვოს პოლიტიკური ცხოვრება. რა მოხდება ქვეყანაში? არადა, ერთ დროს ხომ უნდა დავიწყოთ დამოუკიდებელი პოლიტიკური ცხოვრება? დემოკრატიულად ჩავატაროთ არჩევნები, ყველა პარტიიდან ავირჩიოთ ქვეყნის გულშემატკივრები, შევქმნათ კოალიციური მთავრობა, მივეჩვიოთ დამოუკიდებელ ცხოვრებას. მოვეშვათ ერთმანეთის ლანძღვა-გინებას. მათ შორის შევეშვათ წარსულის განქიქებას, ასე თუ ისე კომუნისტებმა აქამდე მოგვიყვანეს. სოციალისტური ქვეყნები არანაკლებ წარმატებულია, ვინემ კაპიტალისტური, ეტყობა სხვა რამეშია საქმე. და ამას გაანალიზება სჭირდება. საქართველო ფეოდალიზმის ხანაშიც ყვაოდა, როცა დიდი მეფე ყავდა. ერი და ბერი სახელმწიფო საქმეს აკეთებდა. დღეს კი საქართველოს ლიდერები ჯარში არ უშვებენ შვილებს, ვერ დავაძალებ დემოკრატიააო, მაშინ მოვალეობა რაღაა? სამშობლოს სიყვარული და ღირსება. ამას მოგვიანებით რელიგიურსექტანტური მოთხოვნებიც დაემატა და საერთოდ გაუგებარია, ვინ უდა დაიცვას ეს ხალხი და ეს ქვეყანა. ასე გვინდა აღვადგინოთ ტერიტორიული მთლიანობა? ან საზღვარზე მხოლოდ იმ ერთი სამარცხვინო ადგილის ჩვენებით? კარგი იქნება თუ ხელისუფლების წარმომადგენლები მაგალითს მისცემენ სხვებს და შვილებს გაუშვებენ იმ ჯარში, სადაც რუსული დედოვშინა დღემდე ყვავის, ხოლო მინისტრი ნატოზე და მაღალ მატერიებზე გვესაუბრება. აი, ასე ვართ აცდენილი რეალობას.

მთავრობის ბოლო განცხადებებით, განათლების დარგში რევოლუციურ ნახტომებს უნდა ველოდოთ, შეუძლებელი არაფერია, მაგრამ მთელმა ერმა თუ ერთად არ მოინდომა არაფერი გამოვა. გასულმა საუკუნემ მსოფლიოს ქართველ მეცნიერთა კორიფეები მისცა ყველა დარგში. ამიტომაც ქართულ გენეტიკას ხელშეწყობა სჭირდება.

ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მთავარი ოჯახის ფენომენია, როგორც კულტურის, სლიერების განათლების მთავარი კერა და ხელშემწყობი.

მიუხედავად გარკვეული შედეგებისა, მთავრობამ რეალობას უნდა გაუსწოროს თვალი, სიღარიბეს და უმუშევრობას, რაც არის გამოუცხადებელი ომი საკუთარ ხალხთან და უნდა შეგეძლოს წარმოიდგინო თავი მის ადგილას საზღვართან ჩემოდნით ხელში, როცა ტოვებენ ქვეყანას.

დემოკრატიის 30 წლიან პერიოდში იმდენი შეცდომა დავუშვით, ბარე 10 ქვეყანას ეყოფა დემოკრატიის გაკვეთილებად. სანამ ვიჯდეთ დემოკრატიის მერხებთან, ან სანამ ვითმინოთ ,,ნაცების" ამ დამნაშავე რეჟიმის წარმომადგენელთა -ბოკერია-უგულავას თითის ქნევა ,,ოცნება" უნდა გავასამართლოთო. იქნებ ახლა მაინც დაფიქრდეს ხელისუფლება, ღირს კი ამ რეჟიმის დანდობა?

ზ. აბრალავა



*რა გტკივა, ქალაქო?*

## ჩვენი საზრუნავი

ჩვენი ეროვნული ზნე-ჩვეულებები და ტრადიციები, რათქმაუნდა, განსხვავდებიან სხვა ერის წეს-ჩვეულებებისაგან. მოდით და ნუ ვიდავებთ ვისი სჯობია, რა უკეთესია. შევთანხმდეთ იმაზე, რომ ტრადიციებს გაფრთხილება სჭირდება და მომავალ თაობას უნდა ვასწავლოთ ერმა როგორ უნდა შეინარჩუნოს თვითმყოფადობა, როგორ არ უნდა გადავშენდეთ, არ გადავგვარდეთ. სახეწამხდარი და ნირშეცვლილი ტაკიმასხარას დავემსგავსებით. ეხლა თუ ჯერ კიდევ გვაქვს მსოფლიო, მერე ყველა გაგვცინებს. რაც რათქმაუნდა არ არის სასურველი.

კაცმოყვარეობა, კაცთპატივისცემა, ქართველებს ძველთაგან მოგვსდევს. ნამუსიანობა, ნამუსის შენახვა ჩვენი ერის ისეთი თვისებაა, რომელიც მის სიმტკიცეზე და ჯიგრიანობაზე მეტყველებს. ერის ამ თვისებებს ისევე უნდა გაფრთხილება, როგორც ბროლის ნაკეთობებს გაწმენდისას-ხელში რომ არ შემოგემსხვრას.

კიდევ ერთი თვისება გვაქვს ქართველებს გამორჩეული, ხელიხელსაგოგმანები - ეს არის წარსულის არდავიწყება, მიცვალებულთა მოგონება, ქელეხებისა და საფლავების მოვლა-პატრონობა.

და აი, მივადექით მთავარ სათქმელს.

ამ ნარკვევში საუბარი გვექნება ჩვენს ქალაქში არსებული ქელეხებისა და სასაფლაოების მოვლა-პატრონობის შუქჩრდილებზე.

ძეგლთა სიმრავლე ქალაქის ღირსების და სიდიადის მაჩვენებელია, რომელიც მის სახელოვან წარსულზე მეტყველებს. ძეგლის დანიშნულება სწორედ ისაა, შთამომავლობას დვამახსოვროთ ღირსსახსოვარი წარსული, იამაყო მით, გიბიძგოს კარგი საქმეების საკეთებლად, გაგიღვიძოს პატრიოტული გრძნობები და სხვა.

როგორია ამ მხრივ მდგომარეობა ქალაქში? ვერ ვიტყვით სახარბიელოაო. მეტი წილი ძეგლებისა მოუვლელი და გაშეშებულია, ძეგლების ირგვლივ სარეველა ბალახი საძოვრად იწვევს საქონელს, ვერსად ვნახავთ ვერანაირ სახეობას და სხვა. ისეთი შთაბეჭდილება რჩება კაცს, რომ ძეგლები დამსახურებული ადამიანის გასაკიცხავად დადგეს და არა პატივისმისაგებადო.

პატივცემულო მკითხველო, ამას ვინმეს გასაკრიტიკებლად და განსაკითხავად კი არ ვწერ, ვისაც ამ ძეგლების მოვლა-პატრონობა ევალებათ, იმათ რომ ჰკითხოთ რაშია საქმეო, იმდენ პრობლემას, გადაუწყვეტ და მოუგვარებელ საკითხს დაგისახელებს, გაგიკვირდებათ,-ეს ხალხი რა დღეში ყოფილაო.

იმავე პრობლემებს ვხვდებით სასაფლაოებზეც. ძალიან ბევრი მოუვლელი სასაფლაოა, ზაფხულის პერიოდში ბალახს მიაქვს იქაურობა. ეულად დგანან გაძარცული სასაფლაოები. ესეც რა ჭირი შეგვეყარა ამ ბოლო დროს ასეთი-მეტალის სახეობასაც არ ტოვებენ საფლავებზე. ზოგიერთ საფლავთან მისასვლელი გზაც კი არ დატოვეს ისეა მიცვალებულები დასაფლავებული. და კიდევ ბევრ სხვა პრობლემას შეხვდებით აქ. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ უკანასკნელ წლებში სასაფლაოებზე ბევრი რამ შეიცვალა უკეთესობისაკენ. ამის არდანახვა დიდი უმადურობა იქნებოდა, ბოლო დროის ნახელავია სასაფლაოების აღრიცხვა, ე.წ. შაბათობების ჩატარება, ბევრი წლებით მიტოვებული საფლავების გაწ,მენდა ნაგავისა და მორეული ეკალ-ბარდისაგან, მისასვლელი გზების მოწესრიგება და სხვა. მაგრამ ესეცაა ჩატარებული სამუშაოები საკმარისი სრულებით არაა. ეს ზღვაში წვეთია.

საფლავები, ანუ ჩვენი წინაპრების და სისხლ-ჯილაგების ძვალშესანახები, მასთან მისასვლელი გზები, ქართველებისათვის, წმინდათა წმინდა ადგილებიადაის ყოველთვის ისე უნდა გამოიყურებოდეს, რომ გული გაგინათდეს. ეს ჩვენ ძველთაგან მოგვსდევს და მომავალ თაობას ესეთნაირადვე უნდა გადავცეთ.

ეტყობა საჭიროა ქალაქის ხელმძღვანელობაში შემუშავდეს ერთიანი, მიდგომა ამ ფრიად მნიშვნელოვანი საკითხისადმი. შესაბამისმა სამსახურებმა კი ხელი უნდა ამოიღონ მიბარებბული უბნის სრულ წესრიგში მოსაყვანად.

და კიდევ ერთი. სირცხვილია, მოუთმენელია, არ შეგვშვენის ფოთელებს ე.წ. ,,ებრაელთა სასაფლაო", რომ ასეთ გაპარტახებულ დღეშია. ეს ფოთელო ებრაელთა წმინდა ადგილი ჩვენი ქალაქის ისტორია არაა? იქ ვინც განისვენებს, ჩვენი მეგობრები და ამხანაგები არ იყვნენ? ისინი განა ჩვენი ქალაქის სიკეთისათვის არ იბრძოდნენ ჩვენს გვერდით?და ამ საფლავების პატრონები თუ თავის ძირითად სამშობლოში დაბრუნდნენ, ქალაქმა ვერ უნდა უპატრონოს მათ დანატოვარს?

საერთოდ ქალაქში უნდა დაკანონდეს წესი, რომ ქალაქში არ იყოს არცერთი მოუვლელი სასფლაო. ყველა მიცვალებული ყოველი ჩვენთაგანის ოჯახის წევრი იყო, ან მეგობარ-ამხანაგი, მეზობელი, მასწავლებელი, მკურნალი ექიმი, ან კოლექტივის წევრი და არ დაიქცევა ქვეყანა თუ წელიწადში ორ-სამჯერ გავალთ მათ საფლავებზე, საფლავსაც მივხედავთ და სამადლოდ ჩვენი ტრადიციებისამებრ ჭიქა ღვინოსაც წავუქცევთ. ეს საკუთარი თავის პატივისცემაა, ამაღლდები ზნეობრივად, სრულად განიწმინდები.

დასახელებული საკითხის მოსაგვარებლად ცოტა ფულადი სახსრებიცაა საჭირო, რომ შესაბამისმა სამსახურებმა უფრო გამოიღონ ხელი და უკეთ აკეთონ საშური საქმე. ადგილობრივი ბიუჯეტის იმედით ამის გაკეთება ძნელია, თუმც მუნიციპალიტეტს მოუწევს ამ საკითხზე სერიოზული დაფიქრება.

ვფიქრობ, აქ დიდი დახმარების გაწევა შეუძლია თვით საზოგადოებას, ქალაქის ,,შეძლებულ" მამებს, რესპუბლიკისა და ადგილობრივი მნიშვნელობის ბიზნესმენებს, ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი ქალაქის წარსულიცა და მომავალიც.

ფოთელებო გამოვექომაგოთ ამ საკითხზე, ერთად ვიმსჯელოთ. საზოგადოებრივი აზრის დარბაზი მზადაა გაიზიაროს ყოველი თქვენთაგანის ნააზრევი.

ომარ ხუხუნი
ქ. ფოთის საზოგადოებრივი აზრის დარბაზის თავმჯდომარე

### საუკუნის მშენებლობა

## ფოთში წყალარინების სისტემის მშენებლობა მიმდინარეობს



ფოთის კანალიზაციის სისტემის და გამწმენდი ნაგებობის მშენებლობაზე 130 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება. ფოთში წყალარინების ქსელის მოწყობა და გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მიმდინარეობს. სამუშაოების მიმდინარეობას, ADB-ის მისიასთან ერთად, ადგილზე სამეგრელო-ზემო სვანეთში სახელმწიფო რწმუნებული **ალექსანდრე მოწერელია**, მისი მოადგილე **ირაკლი ჯიქია**, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დირექტორი, **ეკატერინე გალდავა** და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები გაეცნენ. „ფოთში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ პროექტის განხორციელება, სამუშაოები შეფერხებით მიმდინარეობდა, თუმცა, დღეს კომპანიისგან მივიღეთ გარანტიები, რომ პროექტი სწრაფი ტემპით გაგრძელდება და კომპანია ბოლომდე მიიყვანს დაწყებულ სამუშაოებს. პარალელურად მას მოჰყვება გზების რეაბილიტაცია, რაც ასევე წლების განმავლობაში მოუგვარებელია ქალაქ ფოთში“- განაცხადა ალექსანდრე მოწერელიამ. დღემდე, ფოთის მოსახლეობის 60% კანალიზაციის სისტემით ვერ სარგებლობს, ამორტიზებულია და არ ფუნქციონირებს ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობაც. 2020 წლიდან, მასშტაბური სამუშაოების დასრულების შედეგად, 55 ათასზე მეტი ადამიანის პრობლემები საბოლოოდ მოგვარდება და წყალარინების გამართული ინფრასტრუქტურით ისარგებლებს. „მუდმივად ვატარებთ მონიტორინგს მიმდინარე პროექტებზე. ამჟამად ხორციელდება წყალარინების სისტემის რეაბილიტაცია. დღეის მდგომარეობით, ადგილზე მუშაობს ჰოლანდიური კონტრაქტორი კომპანიის ოთხი ჯგუფი, სამუშაოებში ჩართულია ადგილობრივი მუშახელიც. ფოთში ასევე, მიმდინარეობს წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობაც. ვიმედოვნებთ და ყველა ღონეს ვიხმართ იმისთვის, რომ ორივე პროექტი დროულად დასრულდეს“.-განაცხადა ეკატერინე გალდავამ. მიმდინარე პროექტები ითვალისწინებს 145 კმ ქსელის მოწყობასა და 28 ერთეული სატუმბი სადგურის მშენებლობას. აშენდება წყალარინების გამწმენდი ნაგებობა. სამუშაოებს ADB-ი 130 მილიონ ლარზე მეტით აფინანსებს.

## სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული, ალექსანდრე მოწერელია ეკონომიკურ კონფერენციას „საქართველო და მსოფლიო 2019“ დაესწრო.



კონფერენციაზე საქართველოს რეგიონული განვითარების ახალ ხედვაზე და მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა მაია ცქიტიშვილმა ისაუბრა.

შეხვედრაზე ქვეყნის აგრარული პოტენციალი და სოფლის მეურნეობაში მიმდინარე პროექტები გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა წარადგინა.

სასტარტო კაპიტალის ხელმისაწვდომობაზე, მცირე და საშუალო მეწარმეების მხარდამჭერ პროგრამებზე, საქართველოს ტურისტული პოტენციალსა და ახალ ბაზრებზე კი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ისაუბრა.

## ფოთში ახალი მეტეო რადიოლოკატორი ამოქმედდა



ფოთში ახალი მეტეო რადიოლოკატორი ამოქმედდა. “დღეიდან საქართველოში, მსოფლიო მასშტაბით, ერთ-ერთი საუკეთესო წინასწარი მეტეო გაფრთხილების სისტემა იფუნქციონირებს. ეკონომიკის სამინისტრომ შპს “საქაერონავიგაციასთან” ერთად, ფოთში ახალი მეტეორადიოლოკატორის დამონტაჟებით, დაასრულა ერთიანი საავიაციო მეტეოროლოგიური სისტემის შექმნის უმნიშვნელოვანესი პროექტი, რომელმაც სრულყოფილი გახადა საავიაციო მეტეო ინფორმაციის მოპოვება”, - განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ აკაკი საღირაშვილმა შპს “საქაერონავიგაციის” კუთვნილი მეტეორადიოლოკატორის გახსნაზე. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინფორმაციით, შპს “საქაერონავიგაციამ” აღნიშნული პროექტის განხორციელება 2015 წელს დაიწყო, რომლის ფარგლებში ქუთაისის და ბათუმის აეროპორტებში ააშენა ახალი მეტეოოფისები, სადაც განათავსა ამინდზე დაკვირვების ავტომატური სისტემა და აღჭურვა ყველა იმ თანამედროვე ტექნოლოგიებით, რომლებიც განკუთვნილია ამინდის, კლიმატისა და ჰიდრომეტეოროლოგიური გაზომვის, პროგნოზისა და ანალიზისთვის. 2016 წლის ბოლოს კი კომპანიამ, თბილისთან ახლოს, „ქვიშიანას მთის 1100 ნიშნულზე“, ახალი მეტეორადიოლოკატორი დაამონტაჟა. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შპს “საქაერონავიგაციამ” ფოთში და ქვიშიანას მთაზე განთავსებული მეტეორადიოლოკატორები ღია საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებული ამერიკული კომპანისგან ჩ ( ნტერპრისე ლეცტრონიცს ჩორპორატიონ) შეიძინა. ფოთში დამონტაჟებული X-დიაპაზონის მაგნეტრონის მეტეოროლოგიური სარადარო სისტემის საერთო ღირებულება 3 მილიონ ლარს აჭარბებს. ახალი სისტემა, რომელიც დაფუძნებულია თანამედროვე სამეცნიერო კვლევებსა და ინოვაციებზე, იძლევა მეტეოროლოგიური ელემენტებისა და პარამეტრების უამრავი მახასიათებლის დეტალური იდენტიფიცირების საშუალებას. ახალი სისტემის დანერგვა ხელს შეუწყობს საქართველოს სამივე საერთაშორისო აეროპორტში ფრენის უსაფრთხოების დონის კიდევ უფრო ამაღლებას და საჰაერო მოძრაობის ორგანიზების პროცესში საავიაციო შემთხვევებისა და ინციდენტების გამომწვევი რისკ-ფაქტორების მინიმუმამდე დაყვანას. წინასწარი მეტეო გაფრთხილების პროექტი სრულად აკმაყოფილებს Iჩ -ს (სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია) და ჭ -ს (მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაცია) საერთაშორისო სტანდარტებს. აქვე აუცილებელია აღინიშნოს, რომ საქაერონავიგაციის მიერ მოპოვებული უაღრესად ღირებული მეტეოროლოგიური ინფორმაცია, რომელსაც იყენებს ჭ (მსოფლიო მეტეოროლოგიის ორგანიზაცია), აგრეთვე შეუძლიათ გამოიყენონ სოფლის მეურნეობის, თავდაცვის და გარემოს დაცვის სამინისტროებმაც. ფოთის მეტეორადიოლოკატორი დღეს ოფიციალურად შევიდა ექსპლუატაციაში. გახსნის ცერემონიას ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები -მამუკა პაპასკირი და კონსტანტინე თოფურია, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე აკაკი საღირაშვილი, ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი კაკულია სხვა ოფიციალური პირები დაესწრნენ.

### კაპარჭაზე ისევ გაიმართება სპორტული ასპარეზობები

## 20 წლის შემდეგ ფოთში მდინარე კაპარჭას კალაპოტი პირველად გაიწმინდება.




კაპარჭას გაწმენდის პროექტი მდინარის 3 700 მეტრიანი ზოლის გაწმენდასა და პალიასტომის ტბის ჰიდროდინამიური რეჟიმის აღდგენას ითვალისწინებს.

პროექტის ღირებულება 1 500 000 ლარია, იგი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდება.

პროექტი გულისხმობს - მდინარე კაპარჭის გამტარუნარიანობის აღდგენას, რის შედეგადაც მდინარე კაპარჭაზე შესაძლებელი იქნება სანიჩბოსნო სპორტული ღონისძიებების ჩატარება.

მდინარე კაპარჭის ამოწმენდის შედეგად მიღებული ლამი, როგორც ბუნებრივი ორგანული სასუქი, სოფლის მეურნეობაში იქნება გამოყენებული.

პროექტი ხელს შეუწყობს მდინარე კაპარჭის წყალგამტარიანობას და პალიასტომის ტბის ეკოსისტემის აღდგენას.

## ტურისტული ინფრასტრუქტურის პროგრამით მალთაყვის განაშენიანება გრძელდება




საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი კაკულიამ და მოადგილე აკაკი დარჯანიამ საკრებულოს წევრებთან ერთად შპს „ურბანიკას“ მიერ წარმოდგენილ მალთაყვის სარეკრეაციო ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის სამუშაო ვერსია განიხილეს.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მალთაყვის უბნის განვითარებისთვის საჭირო რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე საქართველოს მთავრობამ 2017 წელს მიიღო განკარგულება, რომლის შესაბამისად საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და შპს „ურბანიკას“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, შემუშავდა ქალაქმშენებლობითი დოკუმენტი - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მალთაყვის უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმა.

მალთაყვის უბნის განვითარებისათვს საჭირო რიგ ღონისძიებათა განსახორციელებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლასთან დაკავშირებით, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც საკრებულოს წევრებიც არიან შეყვანილი.

სამუშაო შეხვედრაზე საკრებულოს წევრებმა განიხილეს წარმოდგენილი გეგმა და გაეცნენ იმ ტერიტორიაზე კერძო მესაკუთრეების განცხადებებს. როგორც საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ბექა ვაჭარაძემ განაცხადა მომავალში გეგმავენ კერძო მესაკუთრეებთან შეხვედრას, რათა ქალაქის და მათი გეგმები ერთმანეთთან თანხვედრაში იყოს.

პროექტი ითვალისწინებს ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას, ზოგ შემთხვევაში ეს არის საოჯახო სასტუმროები, ზოგ შემთხვევაში სასტუმროები ბუნების მოყვარულთათვის და დიდი აქცენტია გაკეთებული სპორტული ტურიზმის განვითარებაზე.

ასევე, გათვალისწინებულია რამოდენიმე დიდი მოედნის და ერთი სტადიონის მშენებლობა. ამ ყველაფერთან ერთად გამოიყოფა ცალკე უბანი სპორტსმენებისთვის.

პროექტი პრემიერ მინისტრთან შეთანხმების შემდეგ სამომავლოდ საკრებულოს სხდომაზე განიხილება.

## ფოთის სანიჩბოსნო ბაზას სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდება



ფოთში მდინარე კაპარჭას გაწმენდისა და სანიჩბოსნო ბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდება. სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულმა ალექსანდრე მოწერელიამ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეებთან ერთად, მდინარე კაპარჭას ტერიტორია და ყოფილი სანიჩბოსნო ბაზა დაათვალიერა. პროექტი მდინარე კაპარჭის 3 700 მეტრიანი ზოლის გაწმენდასა და პალიასტომის ტბის ჰიდროდინამიური რეჟიმის აღდგენას ითვალისწინებს. პროექტის ღირებულება 1 500 000 ლარია, იგი რეგიონული განვითარების ფონდიდან, ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდება. ეს არის პალიასტომის ტბის ჰიდროდინამიური რეჟიმის აღდგენის I ეტაპის სამუშაო, რომლის განხორციელების შემდეგ შესაძლებელი გახდება პალიასტომის ტბის წინაშე მდგარი პრობლემების უფრო ეფექტური გადაჭრა. ამ პრობლემის მოგვარებასთან ერთად ფოთში სანიჩბოსნო ბაზის რეაბილიტაცია იგეგმება. რაც სპორტის ამ სახეობის განვითარებას და ტრადიციების აღდგენას შეუწყობს ხელს. სანიჩბოსნო ბაზის რეაბილიტაციისთვის 700 ათასი ლარი დაიხარჯება.

## სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს წარმომადგენლები ფოთში ყოფილი ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმის შენობის მდგომარეობას გაეცნენ.



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერთან გოჩა კურდღელიასთან, მერის მოადგილეებთან კონსტანტინე თოფურიასა და მამუკა პაპასკირთან შეხვედრაზე შენობის ისტორიულ მნიშვნელობასა და რეაბილიტაციის დროს არქიტექტურული იერსახის შენარჩუნების აუცილებლობაზე გამახვილდა ყურადღება.

ფოთის ყოფილი ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმის შენობას ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევით რეაბილიტაცია ჩაუტარდება და აქ ახალი უმაღლესი სასწავლებელი განთავსდება, რომელიც თავისი პროფილით სანავსადგურო ქალაქის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს.

შენობა მეოცე საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს აშენდა. აქ ჰიდრომელიორაციული ტექნიკური სასწავლებელი, მოგვიანებით კოლეჯი და ფოთის უნივერსიტეტი ფუნქციონირებდა.

# I ფუთი
# (კოლხური ცივილიზაციის განათლების ცენტრი)

მსოფლიო ისტორიის წყაროებში, დღემდე არ მოიპოვება კოლხეთის სახემწიფოებრიობის ჩამოყალიბებისა და მისი აღზევების ზუსტი ცნობები. თუმცა, მისი დიდებული წარსულის შესახებ აიეტამდეც (დიდი ხნით ადრე) ცნობილი იყო, რასაც მოწმობს, თავად კოლხეთის მეფის აიეტის სიტყვები: ,,ჩვენი მამაპაპათა ზეობის ხანაში".

ამასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვან ცნობას გვაწვდის ცნობილი გერმანელი მწერალი კარლ ჰანრის ფონ გაისპერგი თავის წიგნში: ,,ჩემი მოგზაურობა კავკასიაში", სადაც აღნიშნავს: ,,ესაა დასაბამიდან ,,ოქროს საწმისის" მდიდარი ქვეყანა კოლხეთი. ფაზისს (რიონი) მოჰქონდა ოქრო. აქ იცოდნენ ოქროს მოპოვების ხელოვნება და ასევე სხვა ხელოვნებაც, რომლის ძირები ლამის ადამის ჟამსაა საძიებელი.

გაისპერგი, სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ კოლხების ძირი ლამის ადამის ჟამსაა საძიებელი, ვინაიდან, კოლხები, პირმშოა უდიდესი იბერიული ცივილიზაციის, მაგრამ ვერც გაისბერგი, იძლევა ზუსტ ცნობას კოლხეთის სახელმწიფოს შექმნის და მისი აღზევების ჟამის შესახებ. ყოველივე ამის მიზეზი შემდეგში მდგომარეობს; როდესაც დაიწყო იბერიულ-კოლხური ცივილიზაციის დაკნინების პროცესი, რომელსაც ზესაიდუმლოებითი მიზეზი გააჩნდა, (რის შესახებ, ამავე გაზეთის წინა ნომრებში სრულად მაქვს გაშუქებული) დაიწყო, მკვეთრად დაბალ საფეხურზე მდგომი ინდოევროპული მოდგმის (ძვ. ბერძნების) ფართომაშტაბიანი ექსპანსია პირველი ცივილიზაციის წინააღმდეგ. გაბატონებულთა მიერ ხდებოდა ჩვენი, წინარე ისტორიის (იბერიულ-კოლხური) კვალის წაშლა, გაყალბება და საკუთარზე მორგება. ცნობისათვის: ,,ღმერთების, ქალღმერთების, ტიტანების, გმირების, პრეისტორიული ძეგლების, პლანეტების და ისტორიული მნიშვნელობის ტოპონიმებისთვის.

სახელწოდებები ძველი კოლხების შექმნილია, რომელთა სახელებმა, (სამწუხაროდ) დღემდე ვერ მოაღწიეს, რაც შემდგომ, (როგორც უკვე ავღნიშნეთ) ძვ. ბერძნების მიერ წაშლილი, გაყალბებული და მითვისებული იყო, მაგრამ საბედნიეროდ პრეისტორიული სისტემისა თუ სახელწოდებების (ტოპონიმები) განმარტებებს მხოლოდ მშობლიური ენა იძლევა და არა სხვა ენები, მათ შორის (ისტორიაპარია) ძვ. ბერძნების. და ეს ენა! გახლავთ მეგრულ-ლაზურ-სვანური. ამ სამ ენაშია თავმოყრილი იბერიულ-კოლხური ცივილიზაციის ბრწყინვლება, რაც საშუალებას გვაძლევს, ჩვენი მშობლიური წინარე ისტორია უკეთ წარმოვაჩინოთ.

ახლა, რაც შეეხება გაისბერგის ცნობას: ,,ოქროს მოპო ვების ხელოვნებასთან ერთად კოლხები სხვა ხელოვნებასაც ფლობდნენ". ეს იყო ზუსტი საბუნებისმეტყველო მეცნიერების დარგები, რომელიც ხელოვნების ძალიან მაღლ დონეზე ქონდათ აყვანილი, რაზეც მეტყველებს რიტორიკის, როგორც ერთერთი უმთავრესი საგანმანათლებლო სფეროს არსებობა, რომელიც განსაკუთრებულ როლს თამაშობდა, ,,ფაზისის აკადემიაში" ზეუნივერსალურ ცოდნას დაუფლებულ ადეპტატთვის, რომ მათ, ხელოვნების მაღალ დონეზე გამართულად, დამარწმუნებლად, საზოგადოების ყურადღების მიქცევის (მონუსხვის) მიზნით, ღრმად ჩაებეჭდათ მათ გონებაში მიწოდებული ცოდნის აუცილებლობა, რამაც ხელი შეუწყო განათლებული მოდგმის ჩამოყალიბებას, ამიტომ იწოდებოდნენ კოლხები მაღალი კულტურის მატარებელ რასად, რამაც არსებითად ხელი შეუწყო კოლხეთის აღზევება-გაძლიერებაში. რის შესახებ მკაფიოდ აღნიშნავს აპოლონიოს როდოსელი: ,,ქვეყნად ვერავინ გაუტოლდება ძლევამოსილ კოლხეთის მეფეს თუმც შორს არის, თუ მოინდომა ელადაშიაშიაც წავა სალაშქროდ". და აი, ამ დროს, ,,არგონავტები", იასონის მეთაურობით თავისუფლად შემოდიან კოლხეთში და როგორც ვიცით კოლხი მედეას დახმარებით, (მცირედი დანაკარგებით) თავისუფლად იტაცებენ ოქროს საწმისს და მშვიდობიანად ბრუნდებიან თავიანთ ქვეყანაში. ცოტა არ იყოს გაკვირვებასაც იწვევს როდოსელის სიტყვები, კოლხეთის მეფის აიეტის ძლევამოსილების შესახებ: ,,თუ მოინდომა ელადაშიაც წავა სალაშქროდ". მასზეა ნათქვამი: ,,ფიცი მწამს ბოლო მაკვირვებსო"- ამით ხომ ის თავად მიდის თავის სიტყვების საწინააღმდეგოდ.

კოლხეთის ძლევამოსილ მეფე აიეტს, რომელიც თავისი უსაზღვრო ძალით არათუ ელადას, არამედ მსოფლიოს დალაშქვრა თავისუფლად ძალუძს. იმ დროს, ვიღაც უცხოტომელი იასონი რამოდენიმე ათეული არგონავტით (როგორც უკვე ავღნიშნე) თავისუფლად იტაცებს ,,ოქროს საწმისს" და ეს მაშინ როდესაც აიეტისთვის წინასწარ ცნობილი იყო არგონავტების განზრახვის შესახებ. მიუხედავად ამისა, მათთან თურმე, ბრძოლაშიც ებმევა სასტიკად მარცხდება და ყველაზე საშინელი, იღუპება! ეს ხომ აშკარა სიყალბეა, რომელიც ზედაპირზე ტივტივებს და მისი დანახვა შეუიარაღებელი თვალითაც ადვილად შესაძლებელია. მაშინ, როდესაც დიოდორე სიცილიელის ,,ბიბლიოთეკის" თანახმად მეფე აიეტის მეფობის ხანაში მარტო სვანებს კარგად გაწრთვნილი 200 ათასი ლაშქრის საომრად გამოყვანა შეეძლო.

აქედან გამომდინარე, არგონავტების მიერ კოლხეთიდან ოქროს საწმისის მოტაცება ვერ იქნება ისტორიულ ფაქტად გაზიარებული და მას, წინასწარ გამიზნული როდოსელის და სხვათა ბოდვად მივიჩნევ. მაგრამ, (ჩვენდა სამწუხაროდ) ამ ნაბოდვარმა მსოფლიო ისტორიაში დაიმკვიდრა თავისი მყარი ადგილი, როგორც ისტორიული რეალობა. რის შესახებ, ქართველი მეცნიერების უმრავლესობა (დღემდე) სრული დუმილით პასუხობს ძვ. ბერძენი ,,კორიფეების" ძალადობით თავმოხვეულ კოლხეთის ისტორიის აშკარა გაყალბების უამრავ ფაქტებს.

ასევე დაინტერესებული მკითხველი აღნიშნულთან დაკავშირებით ელის ჩემს მიერ უარყოფილ კოლხეთიდან ,,არგონავტების" მიერ ,,ოქროს საწმისის" მოტაცების ფაქტს. კეთილი და პატიოსანი! მივყვეთ მოვლენებს თანმიმდევრულად:

პირველი-კოლხეთიდან ,,ოქროს საწმისის" მოტაცება, არა კოლხეთის მეფის აიეტის სიცოცხლეში, ანუ კოლხეთის სამეფოს ზეობის ხანაში იყო შექმნილი, არამედ რამოდენიმე ათასი წლის შემდეგ, როდესაც კოლხური სამყაროს ბრწყინვალების ხანა უკვე დაკნინებული იყო.

მეორე-კოლხეთის მეფე დიოდორე სიცილიელის ,,ბიბლიოთეკის" თანახმად იყო ჰელიოსის ვაჟი. დიდად განსწავლული, საოცარი წინასწარმეტყველური ნიჭით დაჯილდოებული, ძლიერი სახელმწიფო მოღვაწე და სამხედრო სტრატეგი. ასევე, უცხოტომელების მიმართ სასტიკად ულმობელი. მან წინასწარ განჭვრიტა რა ,,არგონავტების" მოსვლის მიზეზი და შექმნა ყალბი ოქროს საწმისის იმიტაცია, რომელიც მესაზე იყო დაკიდებული, რომლის მცველებად დრაკონი და ცეცხლისმფრქვეველი ხარები დააყენა. (რაც შეეხება დრაკონს, ეს იყო მცველის სახელი, რომელსაც შემდგომ პოეტებმა სასწაულებრივ თავზარდამცემ ცხოველად წარმოაჩინეს). ,,არგონავტებმა" კოლხეთიდან ვერ გაიტაცეს ოქროს საწმისი, რადგან ,,ოქროს საწმისის" თაობაზე ძველ საბერძნეთში შემდეგ არაფერი თქმულა. ისმის კითხა: რატომ? საქმე იმაში გახლავთ, რომ კოლხეთიდან ,,არგონავტებს" (როგორც უკვე ავღნიშნე) არავითარი ,,ოქროს საწმისი" არ გაუტანიათ. ,,არგონავტებმა" კოლხეთიდან მხოლოდ მოოქროვილი, ყალბი საწმისი გაიტაცეს, რომელსაც საბერძნეთის სახელმწიფოებრიობისათვის არავითარი დიდება არ მოუტანია.

მესამე-დავუშვათ, არგონავტებს მართლაც გაეტაცათ ოქროს საწმისი, რომელზეც დაწერილი იყო ღვთის სიბრძნე, (ანუ ,,კირიბზე" დაწერილი კანონი ღვთისა) ძვ. ბერძნები ვერც კი შეძლებდნენ ,,კირიბზე" დაწერილი ღვთის სიბრძნის წაკითხვას, ვინაიდან მათთვის გაუგებარი დამწერლობით იყო შესრულებული. რისი წაკითხვა მხოლოდ კოლხურ ქურუმებს (წმინდა ბერებს) შეეძლოთ. ასე, რომ ძვ. ბერძნები დიდად გაბრიყვებულნი და დამარცხებულნი დარჩნენ. რომელთა სახელმწიფოებრიობასაც დიდხანს არ უარსებია. იგი დაეცა და დაეცა თავისი ცოდვების გამო ძალიან ძლიერ.

მეოთხე-მინდა, ასევე თქვენი ყურადღება მივაპყრო ცნობილი ინგლისელი მეცნიერის (ქართველოლოგი) დევიდ მარშალ ლანგის სიტყვებს, რომელმაც მსოფლიოს გასაგონად ხმამაღლა განაცხადა: ,,აქ აზიდულა პრომეთეს ამაყი მთა, აქაა წაღმამდელი ხალხის აკვანი დარწეული, აქ დამარცხდა პირველი ნიმვრიოდი, ბაბილონის სამეფოს დამფუძნებელი ბიბლიური გმირი და აქვე ნახა სამარე. ძვ. კოლხეთში უვლიათ ,,არგონავტებს", სასტიკად დამარცხებულნი უკან გაბრუნებულან, ასევე აქ დამარცხდა ცბიერი ოდისევსი".

მეხუთე-ეხლა, რაც შეეხება თუ რატომ ვერ გაიტანდნენ კოლხეთიდან ,,არგონავტები" ,,ოქროს საწმისს". აქ არის სიბრძნე! ჩვენ ვიცით, რომ ,,ოქროს საწმისი", იგივე ,,კირიბი" ცხვრის ტყავია, რომლის ფორმისაა საქართველო თავისი გეოგრაფიული არეალით, (რუკა) რისი გატანა პრაქტიკულად შეუძლებელია, რამეთუ ,,ოქროს საწმისი" თავად საქრთველოა! ამას ვერ მიხვდნენ ,,არგონავტები", (ვინაიდან არ ეყოთ გონება, (განათლება) ) და ბოლომდე გაბრიყვებულნი დარჩნენ, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს კოლხეთის ლეგენდარული მეფე აიეტის უბრწყინვალეს გონზე.

ეხლა, რაც შეეხება ცნობას, ნოეს სასულიერო სკოლის შესახებ, რომელიც ასევე გაშუქებული მაქვს ამავე გაზეთის წინა ნომრებში... სადაც ისწავლებოდა ,,კირიბზე" დაწერილი ღვთის სიბრძნე, მარადიული კანონი ღვთისა, ეს იყო წარღვნის შემდგომი პირველი სასულიერო სკოლა მაშინდელ მსოფლიოში, რომელიც მდებარეობდა აქ ჩვენთან! სამეგრელოს ტერიტორიაზე; ხობის რაიონი სოფელი ურთა, ჯეგეთას მთაზე, რამოდენიმე ათასი წლის შემდეგ აღნიშნული სკოლა იცვლის თავის ადგილსამყოფელს და მისი დაარსება ხდება ქ. ფაზისში, (დღევანდელი ფოთი). რომელიც ლაზი მამების (წმინდა ბერების) მიერ უფრო მაღალ საფეხურზე იქნა აყვანილი, სადაც სასულიერო განათლებასთან ერთად ისწავლებოდა ზუსტი საბუნებისმეტყველო მეცნიერება, რომელმაც ,,ფაზისის აკადემიის" სახელწოდება მიიღო და რომელსაც მაშინდელ მსოფლიოში ანალოგი არ გააჩნდა. არაფერს ვიტყვი დღევანდელ უმაღლეს საგანმანათლებლო ცენტრებზე, რომელიც განფენილია მთელს მსოფლიოში. შედარებაც კი დიდ უხერხულობას იწვევს, იმდენად დაბალ საფეხურზე დგას, რომელსაც არსად მივყავართ, გარდა გონის გამოთაყვანებისა...

და ბოლოს! მივადექით ჩვენი თემის მთავარ საკითხს ფუთის წარმოშობის ისტორიას, რომელიც ასევე გაშუქებული მაქვს გაზეთ ,,ნიკოლაძის გზით" №8 (274) 23 აგვისტო 2018 წელი. ,,ბრძოლა იბერიულ ცივილიზაციასთან დღემდე გრძელდება" და ასევე ამავე გაზეთის 2018 წლის 26 თებერვლის №2 (268) ნომერში ,,პეტრე ქობაკიძე-ჭალადიდელის ერთი სენსაციური აღმოჩენის შესახებ".

გთავაზობთ ამონარიდს აღნიშნული წერილიდან : ,,ფოთი გაქართებული სახელწოდებაა პრეისტორიული ფუთისა, რომელიც წონის ერთეულს 16 კგ-თან არის ასოცირებული: ისმის კითხვა: რა კავშირშია წონა ცოდნასთან? საქმე იმაში გახლავთ, რომ ადამიდან -ნოემდე, (წარღვნა) სასულიერო სკოლის 9 პატრიარქის ხანა 7625 წელს მოიცავს, ხოლო, ნოედან, (წარღვნის შემდგომი პერიოდი) დღემდე 8 ათას წელს მოითვლის, რაც თითქმის 16 ათასწლოვან ცოდნის მარაგს ნიშნავს, ვიდრე ქვეყნის აღსასრულამდე!"

აქედან გამომდინარე , ფუთი, რომელიც შეადგენს 16 კგ-ს, გადატანითი მნიშვნელობით, ნიშნავს 16 ათასწლოვან ზეუნივერსალურ ცოდნას, როგორც გადატანითი მნიშვნელობით; ,,ოთხი დღე-ოთხიათას წელს", ,,ათასი წელი ვითარცა გუშინდელი დღე", ,,ლაზარე-ლაზურ ანბანს", ასევე ფუთი განათლების ცენტრს, ( ქალაქს) როგორც საუნივერსიტეტო ქალაქი თბილისი და სხვა.

აი, ასეთია ფუთის წარმოშობის ისტორია, რომელიც ძალიან გვიყვარს და ვეთაყვანებით მას! და, რომელსაც ასე, დუჟმორეულნი (თავგამოდებით) ებრძვიან მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძისა და ნუგზარ ვანიშვილის დაჯგუფება. აი, რას აცხადებენ ისინი:

,,ფოთი არ არის ქალაქი ფაზისი, და, არც მდ. რიონია მდ. ფაზისი". ქ. ფაზისი მდებარეობდა გონიოსთან ახლოს, ახალ სოფელში-აჭარა. ხოლო მდ. ფაზისი იყო მდ. ჭოროხი, სადაც ,,არგონავტებმა" შესცურეს". იმდენად გამაოგნებელია ამ სექტანტური დაჯგუფების ,,მტკიცებულებანი", რომ კითხვა თავისით იბადება:

,,ვინ არიან, წარმოშობით ამ სექტანტური დაჯგუფების წევრები?! ვინაიდან ძვ. ბერძნებსაც კი აზრადაც არ მოსვლიათ ისტორიული ფაზისის ადგილმდებარეობის შეცვლა. სხვას ვერაფერს ვიტყვი გარდა იმისა, რომ ჩვენს ქვეყანას, შინაურ მტერზე დიდი მტერი არასოდეს ჰყოლია.

სტეფანე ბიზანტიელი, დაწვრილებით აღწერს კოლხეთის ამ მონაკვეთის შესახებ: ,,ეა" გაშენებული იყო აიეტის მიერი, რომელიც 300 სტადიონით დაშორებულია ზღვას მას უვლის ორი მდინარე ,,ჰიპპოს" და ,,კიანოს" (მდ. აბაშა და მდ. ტეხური 300 სტადიონი დაახლოებით 50 კმ-ია. კოლხეთის დედაქალაქი ,,ეა"-დან დაშორების ეს მანძილი ზუსტად უდგება ქ. ფაზისს).

,,...ქ. ფაზისი, გაშენებულია ზღვასა, მდ. ფაზისსა და ტბას შორის, (პალიასტომის ტბა). რაც შეეხება ამ სექტის ,,მტკიცებულებას" მდ. ჭოროხი, არცერთ ისტორიულ წყაროებში არ მოიხსენიება მდ. ფაზისად, რადგან ის არასდროს წარმოადგენდა თავისი სწრაფი დინებით და მოვარდნილი ქვაღორღით დიდ სანაოსნო საშუალებად, სადაც დიდი ხომალდები ივლიდნენ. ასევე ახალი სოფელიც არ გახლდათ ისტორიული ქ. ფაზისი. ახალი სოფელი თავისი სახელწოდებიდან გამომდინარე ახაშენს ნიშნავს, რომელსაც არავითარი პრეისტორიული დატვირთვა საფუძვლად არ უდევს. ასევე მდ. ჭოროხსა, ზღვასა და ახალსოფელს შორის არც ტბა მდებარეობს.

აქედან გამომდინარე, ვაცხადებ: ვინც შეგნებულად ცდილობს ჭეშმარიტი ისტორიის წაშლას, თავად წაშლის მას, თითქოს არასოდეს არსებულა თავისი სამშობლოს ისტორიისათვის.

დაიცავით და აამაღლეთ საკუთარი სამშობლოს ისტორია. იბრძოლეთ მისი დიდებისთვის. და მაშინ, თქვენც ამაღლდებით საკუთარი სამშობლოსა და მომავალი თაობების წინაშე, როგორც ღირსეული შვილები კოლხური ცივილიზაციისა, ამ იმედით გემშვიდობებით...

პატივისცემით ნიკოლოზ იბერი ფუთი

4 პრილი 2019 წ.

### სიკეთესთან და სიყვარულთან წილნაყარი

### დიდ იუბილეს ვულოცავთ!

## მზია ბახტაძე - ღვაწლმოსილი დირექტორი, პედაგოგი და მოქალაქე



არსებობს სულიერი ბედნიერების ორი სახეობა: სულის სიმშვიდე - სუფთა სინდისი და იმედიანი გული! პირველი შედეგია უდანაშაულობისა, მეორე კი ბუნების საჩუქარია.

მზია ბახტაძეს ასე იცნობს მთელი ქალაქი... მეორე სკოლელებისათვის ბედის საჩუქარია - გვყავდეს ასეთი ხელმძღვანელი: ჭკვიანი, სათნო, თავმდაბალი, გაწონასწორებული კეთილშობილი, სამართლიანი, ადამიანის უფლებათა დამცველი; მშობლის გულივით მოფიქრალი, დაღლილ მხრებზე მოხვეული ხელივით თბილი და მთელ სამყაროზე შეყვარებული ადამიანი! ერთ-ერთმა თქვენმა კოლეგამ კი ლამაზი ეპითეტი მოგარგოთ-,,მზისგულა ადამიანი".

ჩვენო დიდებულო ადამიანო, საოცარი თვისება გაქვთ (ან, უფრო, გამორჩეული გამორჩეული ბედისა ხართ-,,დავლათიანი")-არასოდეს გვერდით არ ეძებთ მზესა და სიცოცხლეს, რადგან საკუთარ თავში ატარებთ ორივეს... ხოლო ის, რაც ადამიანშია, უდავოდ, უფრო საჭიროა, ვიდრე ის, რაც ადამიანს აქვს.

ათეულობით წლები გასულა აპრილის იმ დღიდან, თქვენ რომ დაიბადეთ და ათეული წელია, აპრილობით და გაზაფხულობით გვსმენია, ,,მედალოსანთა მედალოსანი" რომ გერქვათ ქალაქში, ოქროს მედლით დაამთავრეთ პირველი საშუალო სკოლა. ქალბატონ თინა ჭოჭუას ლაბორატორიაში ,,მოიწამლეთ" ქიმიის სიყვარულით და თსუ-ს ქიმიის ფაკულტეტის გამორჩეულად ნიჭიერი სტუდენტიც გახდით. ყოველთვის განსაკუთრებლი სიამაყით იგონებთ სტუდენტობის წლებს ,,თსუ"-ელებს რომ სჩვევიათ, უნივერსიტეტმა გამოგარჩიათ და გაგამგზავრათ პეტერბურგში (ლენინგრადში) სსრკ რესპუბლიკების დედაქალაქების უნივერსიტეტების სტუდენტთა შეკრებაზე; დიდი ნდობის ფაქტორი გაამართლეთ მაშინაც, ქიმიკოსთა დღესთან დაკავშირებით ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის უნივერსიტეტში მოხსენება რომ წაიკითხეთ კაფანდარა გოგონამ.

უნივერსიტეტის მერეც გაგრძელდა საინტერესო და შინაარსიანი გზა-დაწყებული მასწავლებლობით, სასწავლო ნაწილის გამგეობით და დაგვირგვინებული სკოლის დირექტორობით. VდაXI სკოლების უფროს თაობას ახსოვს თქვენი თანამშრომლობა, თქვენი ნიჭიერება... ნიკო ნიკოლაძის სახელობის №2 საჯარო სკოლა კი 1990 წლიდან თქვენი ხელმძღვანელობით ,,წერს" ლამაზ ისტორიას. წარმატებული სკოლის წარმატებული დირექტორი. წლების განმავლობაში იყავით ქალაქის სათათბიროს წევრი, სხვადასხვა რესპუბლიკური კონფერენციებისა თუ შეხვედრების მონაწილე...

განათლების დარგის მინისტრების სტუმრობისას ქალაქი თქვენ განდობთ ხოლმე სეფე სიტყვის წარმოთქმას. თქვენი სიტყვის ფასი და წონა იცის ქალაქმა!

მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლიდანაც უამრავი სიგელი მიგიღიათ და ადგილობრივი მმართველობისგანაც არ დაგკლებიათ დაფასება...

თქვენდამი რწმუნებულმა სკოლამ ზედიზედ სამჯერ გაიმარჯვა კონკურსში ,,წლის საუკეთესო სკოლა" და მოგენიჭათ ,,სკოლის საუკეთესო წინამძღვრის" წოდება.

ყოველთვის აქტიურად მონაწილეობდით და იმავე შემართებით მონაწილეობთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ,,საქმემან შენმან გამოგაჩინოსო" უთქვამთ და 2002 წელს ღირსების ორდენით დაჯილდოვდით, თქვენს რეგალიებს ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო ,,ფოთის საპატიო მოქალაქის" წოდება ამშვენებს.

მომავალი თაობის აღზრდას ემსახურებით და ამდენად, კურთხეულია თქვენი შრომა, ძიება, ღელვა და წვა...მომავალი თაობისთვის თავისდადება ნამდვილად ღირს და მადლობა, ეს რომ ლოცვის ძალასავით გჯერათ და გწამთ!

თქვენს ლამაზ ოჯახზე რომ არ ითქვას სიტყვა ეს ყოვლად წარმოუდგენელია. მრავალშვილიანი დედა ბრძანდებით, შვილების ლამაზად გამზრდელი დედა!

როგორ გაღმერთებთ შვილებიროგორი მოფერება იციან! ბუნებით თავმდაბალთ საოცარი სიამაყე შეუდგებათ ხოლმე გულს, როცა თქვენზე საუბრობენ... შვილიშვილებიც გამორჩეულნი გყავთ ჭკუა-გონებით, ნიჭიერებით, ზრდილობით. სილამაზით... მალე დიდი ბებია გახდებით და ზეთისხილივით მსხმოიარე ბაღად გექცევათ ბაჯაღლო პატიოსნებით ცნობილი ოჯახი, ბატონ მარლენ ფაჩულიასთან (დიდი გულის ფოთელთან). ლამაზი სიყვარულით შექმნილი ოჯახი...

და ერთიც, ისე, უბრალოდ... აპრილის თვეში დაბადებულო ქალბატონო, რაღაც სხვაგვარად გშვენის ფერი იასამნის...

დიდხანს, დიდხანს იგაზაფხულეთ!

**მეორე სკოლელები**

******

**ფოთის ყოფილი განათლების განყოფილების გამგე ბატონი აკაკი სხალაია (ამავე სკოლის ყოფილი პედაგოგი წლების განმავლობაში მუშაობდა თბილისში, ლაბორატორიის ხელმძღვანელად.**

მიმზიდველი გარეგნობის, სიცოცხლით აღსავსე, მოყვრის პირში მთქმელი, მომთხოვნი, ალერსიანი, სტუმართმოყვარე, სულითხორცამდე მასწავლებელი, სამაგალითო დედა და მეუღლე-აი, ასეთი თვისებების მქონე პიროვნება მზია ბახტაძე უძღვება დღეს ნიკო ნიკოილაძის სახელობის გიმნაზიას.

,,რა უნდა იყოს უფრო მშვენიერი ვიდრე შესცქეროდე შენს ცხოვრებას და ხედავდე, რომ იგი შრომანივით სპეტაკია". -ბალზაკის ეს სიტყვები თქვენში ჰპოვებს გამოძახილს ქალბატონო მზია.

დიახ, შრომანივით სპეტაკი და სიყვარულით განვლილი წლები... სისპეტაკითა და სიყვარულით დახუნძლული ოჯახი, სიყვარულით გამთბარი თვალებით შემომცქირალი 900-ამდე აღსაზრდელი გიმნაზიაში.

ამ რამდენიმე წლის წინათ გიმნაზიის კურსდამთავრებულებმა, გიმნაზიის მზე გიწოდეს. დიახ, მზე, რომელიც ანათებს, ათბობს და იწვის კიდეც. ამ წვაში გიხდებათ დიდი ენერგიის დახარჯვა, მაგრამ თქვენი ახალგაზრდული ენერგია კვლავ ივსება თქვენივე კეთილი ნამოღვაწარის შედეგით და შემართებით იმ მადლიერი კოლექტივისა, რომელთა მიმართ მომთხოვნი და სამართლიანი ბრძანდებით.

რამდენჯერ მიფიქრია ჩემთვის - ბედნიერია კოლექტივის თითოეული ის წევრი, რომელსაც მოუხარია სამსახურში. ეს ატმოსფერო თქვენი დამსახურებაა ქალბატონო მზია.

უკვალოდ არ ჩაუვლია თქვენს შრომას. გაფასებთ ფოთელი საზოგადოება, გაფასებთ თქვენი დაფრთიანებული აღზრდილები.

გიმნაზიის ისტორიას უნდა შემორჩეს თქვენს მიერ კეთილად გავლებული ხნული.

დიდხანს იცოცხლეთ და იღვაწეთ ამინ!

******

**მზია ბახტაძე-**
**40 წელი ქვეყნის**
**მომავლის სათავეებთან**

დიდმა ნიკო ნიკოლაძემ გიმნაზიის ახალ შენობასთან ერთად საკადრო პოლიტიკასაც ჩაუყარა საფუძველი და გზა დაულოცა დიდი ასპარეზისაკენ. სასიხარულოა, რომ ცოდნის ეს გამორჩეული კერა კვლავაც პროგრესის რელსებით აგრძელებს სვლას გამორჩეული პედაგოგისა და ხელმძღვანელის ქალბატონ მზია ბახტაძის მეთაურობით. მრავალ სიძნელეთა გადალახვის შემდეგ, აქ ყველა პირობა შეიქმნა სასწავლო საგნების საფუძვლიანად შესწავლისა და შემდგომში მეცნიერების მწვერვალების დასაპყრობად. რაზედაც მეტყველებს სკოლის მოსწავლეთა წარმატებები რესპუბლიკურ კონკურსებზე, კონფერენციებზე, სემინარებზე, სკოლა კვლავაც გამორჩეულია სწავლების ხარისხის ნოვაციებით, როგორც ქალაქის, ისე ქვეყნის მასშტაბით, რამაც სასკოლო ცხოვრება ახალ სიმაღლეზე აიყვანა.

პედაგოგებს, მოსწავლე - ახალგაზრდობას სჯერათ და ემაყებათ მზია ბახტაძის, როგორც ლიდერის კომპეტენტურობის, ჰუმანურობის, დიდი ერუდიციის, მადლიერ თაობათა სამადლობელი, მისი ღვაწლის დაფასების პირუთვნელი ნიშანსვეტია. მათ შორის არიან ცნობილი მეცნიერები, ბიზნესმენები, საზოგადო მოღვაწეები.

საქართველოს მომავალი საიმედო ხელშია. გულითადად გილოცავთ იუბილეს ქალბატონო მზია. იდღეგრძელეთ და კვლავაც დიდხანს იყავით საქართველოს მომავლისდიდმამულიშვილთა აღზრდის სათავეებთან.

**აკაკი დარჯანია**
**ფოთის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე**

**მზია ბახტაძე-ცხოვრების გზა**

ოჯახი-ზნეობის, სიყვარულის, ტრადიციების ციტადელი.

მეუღლე: მარლენ ფაჩულია, პროფესიით ეკონომისტი; შვილები თამარი, ეკა და პეტრე.

თამარი და ეკა დაოჯახებულია, პეტრე ცხოვრობს საზღვარგარეთ. თამარი პროფესიით ფარმაცევტია და მუშაობს ერთ-ერთ კომპანიაში, ეკა პროფესიით ჟურნალისტია და ამჟამად მუსაობს ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში.

ყავს 4 შვილიშვილი: თამარი და თინათინ ჯანუაშვილები, ელენე და ლიზი წოწონავები. თამარი თავისუფალი უნივერსიტეტის წარმატებული სტუდენტია. ხოლო უმცროსები სკოლის მოსწავლეები არიან.

მზია ბახტაძე დაიბადა ქ. ფოთში 1949 წლის 4 აპრილს, ოქროს მედალზე დაამთავრა №1 საშუალო სკოლა 1966 წელს, იმავე წელს სწავლა გააგრძელა თბილისის ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტში ქიმიის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა.

სტუდენტურ პეროდში მონაწილეობდა სხვადსხვა კონფერენციებში, მათ შორის ქიმიკოსის დღესთან დაკავშირებით ლომონოსოვის უნივერსიტეტში. ეს იყო ჩემს ცხოვრებაში დაუვიწყარი დღეები - აცხადებს ქალბატონი მზია, ჯერ ერთი ლომონოსოვის უნივერსიტეტი იყო გული საუნივერსიტეტო განათლებისა და მეორე ჩემი საზაფხულო სტუდენტური ნაშრომით მივიღე მონაწილეობა. უნივერსიტეტში ჩემი მასწავლებლები იყვნენ; ქალბატონი მარიამ ლორთქიფანიძე, აკადემიკოსი გოგა ციციშვილი, ილია გვრდწითელი, და ჩემი ხელმძღვანელი თამარ არეშიძე, რომლებმაც განსაზღვრეს ჩემი სამომავლო კარიერა, და როგორც საუკეთესო კურსდამთავრებულს ინსტიტუტში მტოვებდნენ; მაგრამ მამის დაჟინებული მოთხოვნით ქალბატონი მზია დაუბრუნდა მშობლიურ ფოთს და მუშაობა დაიწყო ქიმიის მასწავლებლად II სკოლაში, ერთი წლის შემდეგ, როგორც საუკეთესო მასწავლებელი მზია ბახტაძე დააწინაურეს სასწავლო ნაწილის გამგედ, სადაც 8 წელი იმუშავა.

1979 წელს როგორც დამსახურებული პედაგოგი გადაიყვანეს №2 სკოლაში სასწავლო ნაწილის გამგედ.

1990 წელს აირჩიეს სკოლის დირექტორად.

1997 წელს ქალბატონ მზიას მიენიჭა უმაღლესი კატეგორიის მასწავლებლის წოდება.

1997-2000წწ.-ში მას მიენიჭა ტიტული ,,საუკეთესო წინამძღვარი" სწავლა-აღზრდის საქმეში მიღწეული წარმატებისათვის.

2002 წლის 26 მაისს დაფასდა ქალბატონ მზია ბახტაძის ღვაწლი და საქართველოს პრეზიდენტის მიერ დაჯილდოვდა ღირსების ორდენით. მისი ხელმძღვანელობით სკოლამ მრავალ ღონისძიებებში მიიღო მონაწილეობა და დაჯილდოვდა საპატიო სიგელებითა და თასებით.

2005-2009 წლებში მე-2 სკოლა, დაჯილდოვდა, როგორც ლიდერი სკოლა თასებითა და სიგელებიით.

2014 წელს ხელოვნების პირველი საბავშვო ფესტივალში მონაწილეობისათვის ქალბატონი მზია ჯილდოვდება ოქროს სქწმისის დიპლომითა და ხელოვნების ნიმუშით.

2015 წლის დეკემბერში ადგილობრივმა ხელისუფლებამ ქალბატონი მზია აირჩია ქალაქ ფოთის საპატიო მოქალაქედ.

ეს სკოლა 1905 წელს დაარსდა ნიკო ნიკოლაძის უშუალო თაოსნობითა და და ძალისხმევით, ის მონაწილეობადა, როგორც მშენებობაში, ისე კადრების დაკომპლექტებაში. დღევანდელ ახალგაზრდებს ვუსურვებ, უყვარდეთ სამშობლო, უყვარდეთ სწავლა, დასახული მიზნების მისაღწევად ბოლომდე დაიხარჯონ.

მიმაჩნია, რომ მე სწორად ავირჩიე ჩემი პროფესია- ამბობს იუბილარი. იგი მანიჭებს უდიდეს ბედნიერებას. შედეგით კი ყოველთვის ვტკბები. არ შემიძლია არ მოვიხსენიო ჩემი ცნობილი პედაგოგები: თინათინ ჭოჭუა, შურა გუჯაბიძე, გრიშა წულკაია, პორფილე ბარამიძე და სხვები.

ვუსურვოთ ამაგდარ ქალბატონს დიდხანს სიცოცხლე და ჯანმრთელობა, რომელიც ბავშვებთან ურთიერთობის სიხარულით გვირგვინდება და სიამაყის გრძნობით ავსებს. ქალბატონო მზია, თქვენ მართლაც შექმნით ეპოქას!

### თამარ ფაჩულიას საავტორო სკოლის ბრენდი

## წიგნის საჯარო კითხვის საათი სკოლაში



ბოლო დროს ხშირად კამათობენ იმის თაობაზე, რომ ტექნიკური ევოლუცია ჩაანაცვლებს წიგნს, მაგრამ რაც დრო გადის, მეტად ვრწმუნდებით, რომ წიგნიერი ადამიანის ცოდნა და აზროვნება მეტად ღრმაა, ფართოა შესაძლებლობანი, იოლი მისაღწევია ჭეშმარიტება.

სადაო ნამდვილად არ არის, რომ წიგნიერებას სწორედ სკოლაში უნდა ჩაეყაროს საფუძველი და წიგნის მომხიბვლელობა და ცხოვრებისეული მნიშვნელობა ადრეულ ასაკშივე უნდა იქნეს გაცნობიერებული.

სწორედ ამიტომ ჩვენი გაზეთისთვის მისასალმებელი და სამაგალითო გახდა იმის აღმოჩენა, რომ შპს ,,თამარ ფაჩულიას საავტორო სკოლა-გიმნაზიაში"კლასგარეშე ლიტერატურის კითხვა ტრადიციული პროექტია. აქ კვირაში ერთხელ, მშობლები და პედაგოგები I-VIIკლასების მოსწავლეებს წინასწარ შერჩეულ ლიტერატურას უკითხავენ და ერთობლივ დისკუსიას მართავენ.

,,ეს ჩვენი სკოლის ბრენდია. არსებობის 10 წლის განმავლობაში არც ერთ კვირას არ ჩაუვლია ახალი წიგნის გარეშე, რასაც სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებული უამრავი ინფორმაცია და ფოტო-მასალა ადასტურებს, -ამბობს სკოლის დირექტორი, ქალბატონი **თამარ ფაჩულია**.

,,წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღეს" სკოლის კოლექტივს სასურველი წიგნის შერჩევა, მრავალფეროვანი ღონისძიებების დაგეგმვა და პროექტში ჩართულობა არ გაძნელებოდა.

საყვარელი მწერლების შემოქმედება სამივე საფეხურის მოსწავლეებისთვის დღის თემა გახდა. ახალგაზრდებმა საკუთარი შემოქმედებაც წარმოაჩინეს და მათ ცხოვრებაში წიგნის როლსა და მნიშვნელობაზეც იმსჯელეს.

**დიდი იუბილე**

,,ვლოცავ დღეს ჩემი გაჩენის, ბედნიერი ვარ მე”

# ჯანო დანელია -70 დიდი მხატვარი,მომღერალი და მოქალაქე ჩვენი ნიკალა



წლები ჩემი სიმდიდრეა-თამამად შეუძლია თქვას ჯანო დანელიამ. რომლის ცხოვრებაც მთლიანად დაკავშირებულია მშობლიური ქალაქის კეთილდღეობასთან, მისი სახელის საქვეყნოდ წარმოჩენასთან. იშვიათია კაცი ორი პროფესიით, ბატონი ჯანო შესანიშნავი მხატვარი და მომღერალია. ხელოვნების ნამდვილი ქურუმი, თუმცა, ბოლომდე არაღიარებული და სათანადოდ არდაფასებული. მის შემოქმედებაში სრულიად ახლებურად არის ასახული ორი საუკუნის, ორი განსხვავებული ეპოქის რარიტეტები. პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურეული და სხვა პარამეტრებით.

გასული საუკუნის 70-იან წლებში თბილისის სამხედრო აკადემიაში მოხვედრა მართლაც გამორჩეულთა და უნიჭიერესთა ხვედრი იყო. და ფოთიდან ასე თითზე ჩამოსათვლელ გამორჩეულთა შორის იყო ჯანო დანელია. უბრალო მოსამსახურეების - ანდრო დანელიასა და ვენერა ვაშაკიძის ოჯახში, მრავალ დედმამიშვილთა გარემოცვაში აღზრდილი ბიჭი, რომლის საგზალი იყო სიკეთე, ჰუმანურობა, უზომო სიყვარული მოყვასისა, თავისთავადი, თვითნაბადი, მხოლოდ მისეული ხედვითა და ნიჭით. უბოროტო, სხვისი ბოროტების სიკეთით გადამხდელი, შემწყნარებელი და მიმტევებელი, კაცი, რომელსაც ვერ წარმოუდგენია, რატომ უნდა იყოს ადამიანი ცუდი ზრახვების მატარებელი. კაცი - წყაროსავით ანკარა თავისი პიროვნებითა და შემოქმედებით.

,,ბედნიერი ვარ მაშინა, როცა ვიტანჯვი სხვისთვინა” - დიდი ვაჟას ეს შეგონება მისი ცხოვრების მთავარი დევიზია. ჯანო დანელია დიდი მხატვარია,მაგრამ უპირველესად დიდი კაცია, რამეთუ მავანი შეიძლება იყოს დიდი თანამდებობის პირი, მაგრამ კაცი არ იყოს, მეეზოვე იყოს - და დიდი კაცი იყოს. თუმცა,მეეზოვეობაც არანაკლებ საპატიოა- თუ ნიკალას ,,მეეზოვესაც” გავიხსენებთ - მის გამოხედვაში ხომ სახელმწიფო კაცი გამოსჭვივის, დიდი პასუხისმგებლობითა და წესიერებით. ჯანო დანელიას, როგორც ხელოვანს და მოქალაქეს, ყოველთვის ჰქონდა გამოკვეთილი სახელმწიფოებრივი პოზიცია, - იდეურობა, პატრიოტიზმი, სამშობლოს მსახურება და არა პირიქით, როგორც დღეს ხდება უფრო მეტად არცერთ პარტიაში არ ყოფილა, მაგრამ ბოლომდე დარჩა ზვიადისტად. იმ კაცად, რომელისთვისაც სამშობლო და თავისუფლება, ქართველობა და საქართველო ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულება არის და რომლითაც არასოდეს არ უვაჭრია, არასოდეს არ მოუთხოვია სამაგიერო, არადა, რამდენი აშენდა ქუჩა-ქუჩა სირბილით და დროშების ფრიალით, ეს მართლაც მედროვე, ვითომ პოლიტიკოსები როგორც რიგითი პედაგოგი, დღემდე ემსახურება მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის საქმეს და გადასცემს მათ




უდიდეს გამოცდილებას მხატვრული მასტერკლასებით. მისი სკოლისა და კოლეჯის კურსდამთავრებულები გამოჩენილი მხატვრები და დიზაინერები არიან. თბილისის აკადემიის დიდი სკოლაგავლილები, თავდ ბატონი ჯანო მოსე თოიძის კლასში იყო.

დრომ ძმათამკვლელი ომიც მოიტანა, უკადრებელი იკადრეს, პირველ პრეზიდენტს უახლოესმა წრემ უღალატა. ,,ვაი რა კარგი საჩინო, რა ავად მიგიჩნიესო”, ღმერთივით არ დაინდეს და გასწირეს ღვთისნიერი კაცი. წიწამურს, ხიბულა მოჰყვა, ორი ტრაგედია ერთი საუკუნისა.ჯანო დანელია, როგორც ეროვნული კაცი, განიცდიდა ამ ეროვნულ ტრაგედიას, გაუტანლობას, რისი მაგალითებიც ფოთშიც უამრავი იყო. იგი დღესაც ამ პერიოდს შავ ლაქად მიიჩნევს ქართველი კაცის ცხოვრებაში.

ბოლო დროს მეტ დროს ანდომებს შემოქმედებით საქმიანობას, იგი სავსეა სილამაზით, ღვთიურობით ეროვნული და ზოგადი ღირებულებებით, თითქოს ყველა მიმდინარეობას აერთიანებს, უსაზღვროა ეს სამყარო, თავისუფლების წყურვილით-ფრთაგაშლილი არწივი ციდან დაჰყურებს ამ ცოდვილ მიწას. ეს მისი ერთ-ერთი საუკეთესო ნახატია. ჯანო დანელიას უმთავრესი თვისება - დაუზარელი შრომისმოყვარეობაა. ქალაქის ცხოვრებაში აქტიურადაა ჩართული, უანგაროდ აფორმებდა და ალამაზებდა ყველა საქალაქო ღონისძიებას, წლების განმავლობაში იყო თეატრის მხატვარი და უამრავი სპექტაკლი გააფორმა თავისებური, ორიგინალური ხელწერით. მასვე ეკუთვნის, წიგნების, ჟურნალების სხვადასხვა გამოცემების მხატვრული გაფორმება. ეს უდიდესი შრომა და მონდომება ჩატეულია სამ სიტყვაში- მხატვარი ჯანო დანელია! კაცი - კოლორიტი თავისი ქალაქისა, ჩვენი ნიკალა, ფოთის საპატიო მოქალაქე.

წუთისოფლის უკუღმა ტრიალმა მის ცხოვრებასაც დაამჩნია კვალი,-ადრე გარდაეცვალა მეუღლე, ნაირა ნაჭყებია. - ცნობილი პედაგოგი და ბაღის ხელმძღვანელი. მარტოობა შვილმა, სიძემ და შვილიშვილებმა შეუმსუბუქეს, მეგობრებიც მუდამ გვერდში უდგას. თავად ხომ ყველას შემწე და დამხმარეა, როცა ამის საშუალება აქვს. წლების განმავლობაში ამერიკის ერთ-ერთ შტატში ქართველთა ეკლესიის მოსახატად მიიწვიეს და იქედან ეხმარებოდა ოჯახს, მეგობრებს, ახლობლებს.

თუმცა, ახლა როგორც ყველას, მასაც გაუჭირდა, მაგრამ ცხოვრებამ ვერ გატეხა და მაინც გადასცურა ცხოვრების ზღვა, უკან დარჩა დიდი გადასახედი, დიდი სურათი, ამქვეყნიეური სამოთხისა. წინაა მესამე ნაპირი შემოქმედებითი შემოდგომისა და დრო ნაჯაფით ტკბობისა. ვნების სიმძაფრე შენებაშია და კვლავაც ველით მისგან ახალ სურათებს, ახალ ტილოებს, ქალაქის პეიზაჟებს, პორტრეტებს.

დრო-ჟამის სირთულეებს რა გამოლევს, სულ სირბილით ვერ ივლი კაცი ამ ქვეყანაზე, ზოგჯერ წაიფორხილებ, მაგრამ ისევ, წამოდგები ღვთის წყალობით. თუმცა, ზოგჯერ გიჩნდება სინანული, არსენას არ იყოს, ,,ან ნაადრევად დავბადებულვარ, ან ძალიან დამიგვიანიაო”.

მხატვრის გზა უფრო ზეციურია, არაამქვეყნიური. ტაძარი ციცაბოზე ერთადერთი მისასვლელი გზით, მან მეგობარს აჩუქა ეს ნახატი დაბადების დღეზე, ისიც ამ დღეების იუბილარია



და ძმაკაცობის ორმოცდაათი წლის იუბილეც წინ არის.

დააბიჯებს მშობლიურ ქალაქში, ჩუმი, უხმაურო კაცი და პრიმის ბოლებით მიუყვება აღმართს, მუდამ ჩაფიქრებული, მომღიმარი და თითქოს გვეუბნება - აი, ეს მე ვდგევარ თქვენს წინაშე 70 წლის ჯანო დანელია. რით შემიძლია კიდევ გემსახუროთ? მას თამამად შეუძლია გაიმეოროს დიდი ნიკოლაძის სიტყვები: ,, მე შენ მიყვარდი, შენ მწამდი, შენ გემსახურებოდი როგორც შემეძლო.”

იუბილეს გილოცავთ ბატონო ჯანო, კარგო ფოთელო, მხატვარო და მოქალაქევ. იხარე, იდღეგრძელე, მრავალჟამიერ შენი ხმა და შენი სიმღერა!

ზურაბ აბრალავა
გია დარჯანია
გოგი გაგუა
ნანი გუგუშვილი
ლეილა ლოლუა
ნუგზარ კაჭარავა
ზაურ ცხადაია
ვანო ნარმანია
იროდი ტიკარაძე
სოსო გავძაბია
ახმედ ამბალია
გიგლა თურქია
ნუგზარ ნაჭყებია
გია ჯანელიძე
რობერტ ნადარაია
ბუთხუზ ჭანტურია

ეს გაზეთი ვერ დაიტევს ხელმომწერებს

******

## მილოცვა ჯანო დანელიას ფოთის საპატიო მოქალაქეს, ღვაწლმოსილ ხელოვანსა და მომღერალს

ბატონო ჯანო, თქვენი ცხოვრება და შემოქმედება, უანგარობა, ჰუმანურობა, პატიოსნება დიდი გაკვეთილია იმისა, თუ როგორ უნდა იცხოვრო ადამიანმა ამ ქვეყანაზე. როგორ მოიხადო ვალი სამშობლოს წინაშე და ქრისტიანული რწმენის კაცობის, საქმისადმი ერთგულებისა და თავდადების მაგალითი მისცე თაობებს. თქვენი აღზრდილები უდიდეს წარმატებებს აღწევენ ხელოვნების დიდ ასპარეზზე. თქვენი საზოგადოებრივი ცხოვრება, აქტივობა, ფოთისა და ფოთელებისადმი უსაზღვრო სიყვარული გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, თქვენახართ ჩვენი დროის დიდი მამულიშვილი. ეროვნული სულისკვეთებით გამორჩეული მყარი და საიმედო დასაყრდენი.

დაე, დიდხანს იყავით თქვენი მოსიყვარულე გულით, გამორჩეული ხასიათითა და თავისთავადობით და კვლავაც ღირსეულად ემსახურეთ ქალაქსა და ქვეყანას!

ნინო პაჭკორია,
ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის
სახელოვნებო ცენტრის
დირექტორი

**წელთა გადასახედი**

# მილოცვა კარგ ფოთელს, დედასა და მოქალაქეს



თითქოს არაფრით იყო გამორჩეული ნაზი ჯინჭარაძის ცხოვრების გზა, მაგრამ ეს ერთი შეხედვით, და თუ ჩაუკვირდებით იყო რომანტიზმი, პოეტურობა, აღფრთოვანება, პოპულარობა და ტკივილიც. რამდენადაც ყველაზე მგრძნობიარე ქალებს ცოტა რამ ახარებთ და ცოტა - წყინთ, მათ შორის დაუნახაობა და შეუფასებლობა, თუმცა, როგორც თვითონ ამბობს მეტი პოზიტივი და კეთილი ადამიანები იყვნენ და არიან მის ცხოვრებაში, რომელთაც გადაწყვიტეს კიდეც მისი პროფესიული და სამსახურეობრივი ბედი, ამიტომაც მისი ბიოგრაფიაც საკმაოდ ტევადი და მრავალფეროვანია-სკოლა, ინსტიტუტები, ქართული ენისა და ლიტერატურის კარგი სპეციალისტი, რომელმაც თავიდან კომკავშირულ და პარტიულ სამუშაოებზე გამოიჩინა თავი, შემდეგ იყო დაწყებითი სკოლის დირექტორი, კულტურის საქალაქო განყოფილების გამგის მოადგილე, კერძო სკოლის დირექტორი, სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების ფსიქოლოგი, პარალელურად კითხულობს ლექციებს უმაღლეს სასწავლებლებში, 1997-2004 წლებში მუშაობდა ხუტა ბერულავას სახელობის ბავშვთა ფონდის ფოთის კომიტეტის თავმჯდომარედ,ის იყო პირველი ქველმოქმედი ქალი, რომელიც ეხმარებოდა სოციალურად დაუცველებს. საქალაქო საბჭოს აღმასკომში ბევრი რამ ისწავლა ორგანიზატორული თვალსაზრისით, მას მიენიჭა ,,სახალხო განათლების წარჩინებულის” წოდება. შემდეგ დაინიშნა ფოთის კულტურის სახლის დირექტორად, რომლის საქმიანობაში ახალი შემოქმედებითი მუხტი შეიტანა. პატარებისა და მოზარდი თაობის ესთეტიკური აღზრდის მიზნით აღადგინა თოჯინების თეატრი, მოიწვია სპეციალისტები, რამაც თეატრს დიდი აღიარება მოუტანა. შემდეგ კულტურის სახლთან ჩამოაყალიბა ვოკალურ ინსტრუმენტალური ანსამბლი ,,ია-ია”. სახალხო კინოსტუდიის ჩამოყალიბება იმ დროისათვის უპრეცედენტო შემთხვევა იყო, რომელიც განხორციელდა უშუალოდ მინისტრის მითითებით. ქალაქში ყოველ წელს ტარდებოდა ,,ფაზისობის” დღესასწაული, მათ შორის მალთაყვის ტყე-პარკში, სადაც სცენარისტი და რეჟისორი თავად იყო. მეუღლე ზაველი ბაკურაძესთან ერთად შექმნა დიდებული ოჯახი, გაზარდეს შვილები ეკატერინე და ზაზა ბაკურაძეები, ოჯახს ახალი სიხარული შეემატა რძალი - აქსანა მურინეცი და სიძე -ლევან ბაიდოშვილი.

განსაკუთრებით ახარებს შვილიშვილები.

კვლავაც ქვეყნისა და ხალხის სამსახურში ყოფნას, ჯანმრთელობასა და ბედნიერებას ვუსურვებთ ქალბატონ ნაზი ჯინჭარაძეს- კარგ ფოთელს, დედასა და მოქალაქეს!

მეგობრები

ხსოვნა

# ლიანა მხეიძე-მასწავლებელი და მოძღვარი



ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ფოთის პედაგოგიურმა საზოგადოებამ და არა მარტო, დიდი დანაკლისი განიცადა და უკანასკნელ გზაზე გააცილა ღვაწლმოსილი, დამსახურებული, მრავალი თაობის აღმზრდელი პედაგოგი, მასწავლებელი და მოძღვარი **ლიანა მხეიძე**.

ლიანა მხეიძემ მთელი თავისი ცხოვრება მიუძღვნა მოსწავლე ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეს. მისი მოღვაწეობის არეალი ჯერ მე-5 საშუალო სკოლა, შემდეგ კი პირველი საშუალო სკოლა იყო, სადაც სიცოცხლის ბოლომდე იღვაწა.

ლიანა მხეიძეს პედაგოგიური მოღვაწეობა მოუწია იმ პერიოდში, როდესაც ფოთის პედაგოგიური საზოგადოება და განსაკუთრებით პირველი საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი განთქმული იყო არამარტო ფოთსა და საქართველოში, არამედ მთელს საბჭოთა სივრცეში, რამეთუ პირველ სკოლაში იმ დროს მოღვაწეობდნენ საქვეყნოდ ცნობილი პედაგოგები ნინა ქოიავა, თინათინ ჭოჭუა, პიმენ ნაცვლიშვილი, ეთერ ბასილაშვილი, სანდრო გვასალია, სილოვან წოწინავა, (აქ ყველას ვერ ჩამოთვლი, მაპატიონ მათმა სულებმა), ამ სახელმოხვეჭილი პედაგოგების გვერდით სახელის მოხვეჭა ძნელი იყო, მაგრამ ლიანა მხეიძემ ეს შეძლო.

ქალბატონმა **ლიანამ** პირველ სკოლაში **თინა ჭოჭუას** მიერ საქვეყნოდ განთქმული ქიმიის ლაბორატორიის გვერდით შექმნა მთელს რესპუბლიკაში ცნობილი გეოგრაფიის რომანტიკული კაბინეტი და მოედანი, სადაც მოსწავლეები ღებულობდნენ გეოგრაფიის საგნის ღრმა ცოდნას. **ლიანა მხეიძე** იყო მათი მესაიდუმლე ფანტასტიური ოცნებების აღსრულების გზაზე. მის მიერ შექმნილ გეოგრაფიის კაბინეტში მოსწავლეებს შეეძლოთ ემოგზაურათ მსოფლიოს ისეთ ქვეყნებში, რომლებიც იპყრობდა მოსწავლეების ფანტაზიას. ამიტომაც უწოდეს მას აშშ-ს ქალაქ ლაგრანჟიდან ჩამოსულმა პედაგოგებმა ,,ფანტასტიკა" და ,,ვირტუოზი".

ლიანა მხეიძეს მიღებული ქონდა მთავრობის და განათლების სამინისტროს არაერთი სიგელი და დიპლომი, იგი წლების განმავლობაში ფლობდა, ,,წლის საუკეთესო მასწავლებლის წოდებას". იყო ნელი გეგეშიძის სახელობის ფონდის არაერთგზის ლაურეატი.

ყველა დაგვეთანხმება, ალბათ, რომ ძნელია პედაგოგობა და სხვისი შვილების აღზრდა, მაგრამ უფრო ძნელია საკუთარი შვილების აღზრდა ლიანა მხეიძე აქაც გამორჩეული იყო.

მან, მიუხედავად იმისა, რომ მეუღლე ადრე დაკარგა, შესანიშნავი შვილები აღზარდა, რომლებიც დღეს საპასუხისმგებლო თანანმდებობაზე იღწვიან.

ლიანა მხეიძემ იშრომა და იღვაწა, ისე, როგორც ეკადრება მხეიძეთა საგვარეულოს წარმომადგენლებს.

მისი ღვაწლი და შრომა ოქროს ასოებით ჩაეწერება ქართული პედაგოგიკის ისტორიაში.

გვჯერა მის მიერ აღზრდილი თაობების ცრემლი და ლოცვა გაუნათებს გზას ზეციური საქართველოსაკენ, სადაც მხოლოდ მართალნი განისვენებენ.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი დიდებული სული.

**ქალაქის პედაგოგიური საზოგადოება**

---

**გამოსათხოვარი** ბავშვთა სისოსხლის სადარაჯოზე ბაღეული წლები

,,სიკვდილის გზა არრა არის ვარდისფერ გზის გარდა"

## ნანი (მაღლენა) ქანთარია



კიდევ ერთი ლამაზიი და დიდი ცხოვრება დასრულდა, ულამაზესი ბუნება ამძაფრებს მასთან განშორების ტკივილს, გაზაფხულის პირზე შეუერთდა იგი მარადისობას.

სიკვდილს ვერავინ ვერ გაქცევია, საქმე ისაა ვინ, როგორ იყენებს სიცოცხლეს, დიდი ქალბატონი ვალმოხდილი მიდის ამ სოფლიდან. გაილია ერთი კარგი ქალბატონის, **ნანი ქანთარიას** ცხოვრება და დარჩა კვალი ნათელი, სანთელივით წმინდა, რამდენი ხალისიანი გაზაფხული დარჩა უკან. ქალბატონ ნანის გამოარჩევდა დიდი პროფესიონალიზმი და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. იყო მრავალმხრივ განათლებული. მსოფლიო ლიტერატურის კარგი მცოდნე და შემფასებელი. პოეტური და ამაღლებული. ულამაზესი ქალბატონი. ეამაყებოოდა, რომ დიდი მამისა და ბაბუის გზას აგრძელებდა. მამა შოთა ქანთარია 30 წლის განმავლობაში იყო ქალაქის №1 პოლიკლინიკის მთავარი ექიმი, რომელიც განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობდა ფოთის სამედიცინო საზოგადოებაში. ბაბუა, ვლადიმერი-პროფესიით ექიმი-თერაპევტი მოღვაწეობდა ხობის რაიონში მთავარ ექიმად.

ნანი ქანთარია საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე შევიდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიულ ფაკულტეტზე. 1975 წიდან მუშაობდა ფოთში ქალაქის პედიატრის თანამდებობაზე, ხოლო 1977 წლიდან ბავშვთა საავადმყოფოს ექიმ-ორდინატორის თანამდებობაზე. იყო პირველი კატეგორიის ექიმი. 1981 წლიდან ფოთის ქალაქის ბავშვთა საავადმყოფოს განყოფილების გამგეა, ხოლო 1999-2002 წლებში ფოთის საავდმყოფოს დირექტორი. 2002 წლიდან იყო პედიატრიული სამსახურის დირექტორი. ქალბატონი ნანი განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობდა სამედიცინო საზოგადოებაში. მან შეძლო ბოლომდე ემსახურა ხალხისათვის. მისი ჰიპოკრატეს ფიცისადმი ერთგულება, უანგარობა და მუხლჩაუხრელი შრომა სათანადოდ იყო დაფასებული.

დასანანია, რომ დასრულდა ხალხის გულისაკენ მიმავალი გზა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სპეტაკი სული.

**ქალაქის სამედიცინო საზოგადოება**

---

## ჩემო ძვირფასო მეგობარო ლიანა

დავიბადეთ ფოთში, ნინოშვილის უბანში. გავიზარდეთ ერთსა და იმავე საბავშვო ბაღსა და სკოლაში. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში ვსწავლობდით არ დავშორებივართ ერთმანეთს.

ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე მუდამ ერთად ვიყავით. ზოგჯერ ვკამათობდით, ისევ ვრიგდებოდით და ასე დაუსრულებლად.

ვიდრე ვცოცხლობ არ დამავიწყდება შენი და ალიოშას შეუღლება, ჩემი ძმის ზეიმის მეუღლე- ლიანა და მე, ხომ თქვენი გამცილებელი და პირველი დამლოცველები ვიყავით ცხოვრების ახალ ეტაპზე, გზაზე, რომელიც უდიდესი პატიოსანი შრომით და უმწიკვლოდ განვლე. ყოველთვის გამოირჩეოდი მიზანდასახულობითა და მიზანსწრაფულობით... შენთვის უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი იყო შენი პროფესია. სკოლაში შექმენი სანიმუშო გეოგრაფიის კაბინეტი და უნიკალური გეოგრაფიის მოედანი. იყავი საუკეთესო კლასის ხელმძღვანელი, რომლის დასტურსაც ამ დღეებში თვალნათლივ ვხედავთ.

ბევრი სკოლის სტუმარი მახსოვს გეოგრაფიის კაბინეტის კარებთან მოულოდნელობისაგან გაოცებული და გაშეშებული! დაუვიწყარია ფოთთან დამეგობრებული ამერიკის, ჯორჯიის შტატის, ქალაქ ლაგრანჟედან ჩამოსული სტუმრების შთაბეჭდილება შენი გაკვეთილის შესახებ. ამერიკაში დაბრუნების შემდეგ ჩვენი სკოლის სტუმრებმა გამოაგზავნეს ადგილობრივი გაზეთი. სადაც სტატია გეძღვნებოდა შენ, რომელშიც შენმა ამერიკელმა კოლეგებმა ,,ვირტუოზი მასწავლებელი" გიწოდეს.

ლიანა, ძლიერ გვატკინე გული. ფრთამოტეხილი დაგვტოვე შენი მეგობრები... იმედია, შენ და ალიოშა ბედნიერ არსებობას გააგრძელებთ ზეციურ საქართველოში! ამინ!

მჯერა, რომ დალოცავ შენს ოჯახს, შთამომავლობას და სრულიად საქართველოს.

**შენი ნატრული ტაბიძე**

---

***გივი გიგიბერია***

# *ფოთელი მილიონრების გასაგონად გაიღვიძეთ და გამოფხიზლდით!*

ამ წერილის წერა ფოთელი მილიონრების უმოქმედობამ დამაწერინა. მე გახლავართ ფოთელი პენსიონერი. ,,ფაზისის" აკადემიის ნამდვილი წევრი. (ცოტა რამ ჩემს შესახებ) 1997 წელს სამმა პიროვნებამ შევიძინეთ მე-7 კილომეტრზე მდებარე ასფალტის ქარხანა. ერთი წელი დაგვჭირდა ქარხნის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. 1999-2000 წწ. პირველი დიდი სამუშაო შევასრულეთ ქ. ფოთის ლარნაკას გზის მშენებლობა. იმ პერიოდში ლარნაკას ქუჩა ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო. ტერმინალები ძალიან ცოტა იყო. ერთ-ერთის ,,კავტრექს ფოთის" დირექტორი იყო ქველმოქმედი და მეცენატი, ცხონებული **ჯემალ თოფურია**. მეორე იყო ბატონი **უშანგი გეგენავა** და მაერსკის ფირმა. იმ პერიოდში ლარნაკას ქუჩაზე მსუბუქ ავტომობილებს უჭირდათ მოძრაობა. ეს გზა გაკეთდა ქ. ფოთის რკინიგზის უფროსის დაკვეთით, რომელშიც დიდი წვლილი მიუძღვის ფოთის რკინიგზის სადგურის უფროსს ბატონ **რობერტ კაჭარავას**, რომელმაც დაარწმუნა მისი ზემდგომი, საქართველოს გაერთიანებული რკინიგზის ფროსი ბატონი **აკაკი ჩხაიძე**. გაფორმდა ხელშეკრულება ლარნაკას ქუჩის მთლიანად მოასფალტებაზე. როგორც მახსოვს, ფოთის მერიას იმ პერიოდში არ გააჩნდა სახსრები ქუჩების ასფალტის საფარის დასაგებად. ბიუჯეტში ქალაქს ქონდა 120 ათასი ლარი, რაც ძალიან ცოტა იყო. იყო შემთხვევები თბილისიდან სამთავრობო დელეგაციების ჩამოსვლის დროს დამიბარებდნენ და მთხოვდნენ ნაბადისა და ნინოშვილის შემოსასვლელი გზების ორმულად შეკეთებას. თანხა არ ქონდათ და ნისიად ვასრულებდი ამ სამუშაოებს. ვიცოდი, რომ შესრულებული სამუშაოს საფასურს წლის ბოლომდე მივიღებდი. ერთი შემთხვევა მინდა გავიხსენო. ფოთში, სპორტკომიტეტში იყო მოკრივეთა მწვრთნელი, ძალიან პატიოსანი და თავის საქმის მოყვარული ბატონი **ცეზარ კულუა**. მან მთხოვა მორიდებით ბიჭების სავარჯიშო ხელთათმანი და ინვენტარი არ მაქვსო. თუ დამეხმარები კმაყოფილი დავრჩებიო. დახმარება გავუწიე მას. გავიდა ცოტა ხანი. ბატონი ცეზარი დამიკავშირდა და გახარებული მეუბნება. შენი დახმარებით 4 ევროპის ჩემპიონი და რამოდენიმე საქართველოს ჩემპიონები გამოვზარდეო. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ქონდა. იყო კიდევ შემთხვევა. ფოთელი მოკრივე, ევროპის ჩემპიონი **ვოვა ჭანტურიას** დავეხმარე. ვოვა ჭანტურიამ მთხოვა უცხოეთში წასასვლელი თანხა. მე მას დახმარება გავუწიე, ჩვენი ქარხანა მაინცდამაინც დიდი მომგებიანი არ იყო, მაგრამ ამ სიკეთეს ვაკეთებდი მე, ჩემი პირადი შემოსავლიდან, მიხაროდა, რომ კარგ საქმეს ვაკეთებდი.

ეხლა იმის შესახებ თუ რამ დამაწერინა ეს წერილი. ცხონებული გივი ბერიკაშვილის მონაყოლი მინდა გაგახსენოთ: წყაროს პირას ნალაპარაკევი ნამდვილად სწორიაო, ასეა ფოთის ამბავიც. ფოთში 80 მილიონერიაო, მაგრამ ყველანი დუმან, ხმას არ იღებენ და არც ქალაქისათვის სასიკეთოს აკეთებენ. ამ მილიონრებიდან გამოვყოფდი **თენგო სარიშვილს**, მას ბევრი სიკეთე აქვს გაკეთებული, როგორც ქალაქისათვის, ისე ცალკეული პიროვნებებისათვის. დანარჩენები იმალებიან-თითქოს არავინ არაფერი იცისო. სირცხვილია, როგორც არ უნდა დაიმალო, ხალხმა ყველაფერი იცის. არაფერი არ იმალება, თქვე კარგი დედმამიშვილებო უფლის შიში მაინც იქონიეთ, რატომ იმალებით. ნებაყოფლობით გააკეთეთ კარგი საქმე. ერთმა მილიონერმა ერთ სკოლას გადაუხადე ერთი წლის გათბობა და შუქის თანხა, მეორემ მეორე სკოლას. დანარჩენებმა დაეხმარეთ სპორტკომიტეტს, ბავშვთა ბაღებს. ფოთის გაზეთ ,,ნიკოლაძის გზით" რედაქციას, სადაც მუშაობენ ნამდვილი პატრიოტები, დიდად განათლებულები, თავის საქმის მოყვარულები. ასეთ დაწესებულებას და ადამიანებს უნდა დაეხმაროთ ესენი. გახლავთ ბატონი **ზურაბ აბრალავა** და ბატონი **ივანე ნარმანია**. ღმერთმა გაგვიმრავლოს ასეთი პატრიოტი, მისაბაძი ადამიანები. მათ დიდი პატივისცემით მინდა მადლობა ვუთხრა. ღმერთმა უმრავლოს ქალაქ ფოთს თქვენისთანა საქმისა და ქალაქის მოყვარული ადამიანები.

მადლობა თქვენ მილიონრებო, დაეხმარეთ რედაქციას 200-300 ლარით კი არა 10 000 ლარით ყოველწლიურად, უფალი ყველაფერს ხედავს და დაგიფასებთ. უფლის წინაშე იქნებით ვალმოხდილები, უფალი ამბობს ,,აკეთე სიკეთე და სიკეთე დაგიფასდება". ყველამ ყველაფერი იცის, არაფერი არ იმალება. აბა თქვენ იცით, გამოფხიზლდით.

მე, პენსიონერი ვარ, მიხარია და კმაყოფილი ვარ, ჩემი თავის, რომ რამოდენიმე სიკეთე მაქვს გაკეთებული. თქვენ გისურვებთ კარგი საქმის კეთებას. გამართული იქნებით ცხოვრების მანძილზე.

აბა ვნახოთ ამ წერილის წაკითხვის შემდეგ როგორ რეაგირებას გამოიჩენთ, ხალხმა იცის თქვენი სახელი და გვარები.

აბა თქვენ იცით აკეთეთ სიკეთე, და მხოლოდ სიკეთე. უფალი დაგიფასებთ. და თქვენც ვალმოხდილი იქნებით უფლისა და ხალხის წინაშე.

მე მინდა საქართველოს მოსახლეობას სიკეთე უსურვო. ხოლო ჩემს საყვარელ ფოთელებს უფალი ფარავდეს. მჯერა ამ წერილის წაკითხვის შემდეგ უფლის შეგონებით ბევრ კეთილ საქმეს შეასრულებთ.

**გივი გიგიბერია**

## ხსოვნა
### ქართული ფეხბურთის ამაგდარი 98 წლის გახდებოდა 2 აპრილს
# ივანე (დოდო) ხოფერია



დიდი სპორტსმენი, დიდი მოქალაქე, ქართული ფეხბურთის პატრიარქი დაიბადა 1921 წლის 2 აპრილს ფოთში. ქართული ფეხბურთის ისტორია ამ ქალაქიდან იწყება და როგორც ყველა ბავშვი, პატარა ივანეც ფეხბურთით იყო გატაცებული. ჯერ კიდევ ყმაწვილი მიიწვიეს ფოთის ნაკრებში, 1941 წლის გაზაფხულზე საქართველოს უძველესი გუნდის -თბილისის ,,დინამოს" წევრი გახდა, მაგრამ დაიწყო ომი და 20 წლის ახალგაზრდამ ფარაჯა ჩაიცვა. იბრძოდა ბალტიისპირეთში, შემდეგ ჰოლანდიის კუნძულ ტექსილზე აღმოჩნდა. აქტიურად მონაწილეობდა ქართველ ტყვეთა აჯანყებაში. ჰოლანდიელი პატრიოტების დახმარებით თავი დააღწია გერმანელთა ტყვეობას და კვლავ ფეხბურთს დაუბრუნდა, ამჯერად ესტონეთში. 40-იანი წლების დასასრულს კი ისევ თბილისის დინამოელთა რიგებშია, თუმცა ხანგრძლივმა ტრავმებმა საშუალება არ მისცა სრულიად გამოევლინა შესაძლებლობა. 1956 წლიდან მთელი სამი ათეული წელიწადი, როგორც მწვრთნელი, სათავეში ედგა ფოთის ,,ვოდნიკს", შემდეგ - საკავშირო ,,ბ" კლასში მოასპარეზე კოლექტივს. მისი ხელმძღვანელობით არაერთმა ფოთელმა ახალგაზრდამ გაიკვალა გზა დიდი ფეხბურთისაკენ. სამწვრთნელო მოღვაწეობის შემდეგ ფოთის ვეტერან ფეხბურთელთა საბჭოს თავკაცად აირჩიეს, აქტიურად მონაწილეობდა ზღვისპირა ქალაქის საფეხბურთო ცხოვრებაში. 1997 წელს მიენიჭა ქ. ფოთის საპატიო მოქალაქის წოდება.

ფეხბურთი მისი ცხოვრების კრედო იყო და მის გარეშე წუთითაც ვერ წარმოედგინა თავი. იმ ავბედით დღესაც, 4 მარტს, საყვარელი გუნდის საქომაგოდ იყო ქუთაისში, შინისაკენ მიმავალმა კი ავტოკატასტროფაში სასიკვდილო ტრავმა მიიღო. თავისი 80 გაზაფხულის დადგომამდე რამდენიმე დღით ადრე წავიდა ჩვენგან ქართული ფეხბურთის ამაგდარი, თაობათა პატივისცემითა და სიყვარულით მუდამ გარემოსილი პიროვნება ივანე ხოფერია.

2 აპრილს 98 წელი შეუსრულდებოდა. დიდი სპორტსმენისა და ნაღდი ფოთელის ხსოვნა მუდამ დარჩება თანაქალაქელთა ხსოვნაში.

**ფოთის სპორტკომიტეტი:**
**ფეხბურთის საქალაქო ფედერაცია:**
**ფოთის ვეტერან ფეხბურთელთა საბჭო.**

---

### ,,რა იცი კაცი სად წაიქცევი, თორემ იმ გზაზე სულ არ გაივლი"
## ნატო ჯოგოს ასული ბასილაია-გარუჩავას მონატრება



სიცოცხლე მაშინ შეწყდა, როცა ამქვეყნიური ვალმოხდილობით დაღლილს უნდა ეხარა შვილებით და შვილიშვილებით. ტრაგიკულმა შემთხვევამ იმსხვერპლა ახლობლის სამძიმრის გზაზე, დღეს ბევრი კითხვა ჩნდება-არ წასულიყო, ავად ყოფილიყო და ა.შ. მაგრამ ალბათობაა, აუცილებლობა თუ ბედისწერა არავინ იცის-ამ გზამ შეიწირა და შეწყდა ხალისიანი ცხოვრება და კიდევ ერთი მშრომელი, მეოჯახე ქალისა.

მან კოლხი ქალის ყველა საუკეთესო თვისება ატარა საყვარელი მეუღლის, დების, დედის, მეგობრის, მეზობლის და ახლობლისა.

26 მარტს 60 წელი შეუსრულდებოდა. ოთხი წელია მის გარეშე ავღნიშნავთ ამ დღეს სევდით, მონატრებით და სინანულით. რამდენი სასიკეთო საქმის გაკეთება შეეძლო შვილებისა და შვილიშვილებისთვის, ოჯახისთვის, მეუღლე ბახუხა ბასილაიასთან ერთად იშვიათი იყო ასეთი ცოლქმრობა, მშობლობა და მეგობრობა, თავდადებული შრომით, მომავლის რწმენითა და იმედით, ამიტომაც არის დიდი ტკივილი და ტრაგედია კარგი მეუღლის და დედის დაკარგვა, დღეს რომ კედლის სურათიდან იღიმის და ეალერსება ოჯახის წევრებს..

ვიდრე დედა მყავს არ დავბერდები-ვეღარ გაიგულიანებენ თავს შვილები ნათია, თეონა და მამუკა გარუჩავები, მაგრამ დედის ამაგი არასოდეს მოასვენებთ და ვალად ადევთ, რაც გრძელდება შვილების სანიმუშოდ აღზრდით. ასე, რომ ეალერსებიან ბებიას სურათს საფლავის ქვაზე.

დაბადების დღეს გილოცავთ!

სხვა რა დაგვრჩენია, ჭიქა ღვინო და საფლავთან მიტანილი ყვავილები...

ღმერთს ებარებოდეს შენი დიდებული სული.

**ბადრი ბასილაია**

---

მანანა და ნუგზარ ნადარაიები იზიარებენ ელდარ და ვაგნერ მხეიძეების მწუხარებას, დის

**ლიანა მხეიძის**

დიდი პედაგოგისა და აღმზრდელის გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

---

ინგა და ზურაბ აბრალავები იზიარებენ ელდარ და ვაგნერ მხეიძეების მწუხარებას, დის

**ლიანა მხეიძის**

დიდი პედაგოგისა და აღმზრდელის გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

---

ლუიზა ჩხეტია, ხათუნა და თემურ ზაქარაიები თანაუგრძნობენ ელდარ და ვაგნერ მხეიძეებს, დის

**ლიანა მხეიძის**

გარდაცვალების გამო

---

მედიკო და ვანო ნარმანიები თანაუგრძნობენ ელდარ და ვაგნერ მხეიძეებს, დის

**ლიანა მხეიძის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს

---

ნაზი და ზაველი ბაკურაძეები მწუხარებას გამოთქვამენ, ცნობილი ექიმის

**ნანი ქანთარიას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს

---

# გია დგებუაძის ხსოვნას
## დაბადების 41 წელი უშენოდ



შვილის დაბადება და ამქვეყნად მოვლინება სამყაროს დაბადების ტოლფასია. სიცოცხლის გაგრძელებაა და სიკვდილსაც ამით ვებრძვით. მაგრამ ასე არ მოხდა, 41- გაზაფხულზე შეწყდა მისი სიცოცხლე. გამწარებული მშობლები დგანან შვილის საფლავის ზღრუბლთან და ქვაში ჩაკირულ სურათს ეფერებიან. ბოლო წუთამდე დრაჩა მშობლების, ახლობლების, მეგობრების უსაზღვროდ მოყვარული. ყოველი დღე ახალი სევდა ად მიუხედავად ავადმყოფობისა სიცოცხლის ხალისი არასდროს ტოვებდა, ოჯახიც ახალი შექმნილი ქონდა და მომავლის გეგმებით ცხოვრობდა.

28 მაისს მის გარეშე აღნიშნეს დაბადების დღე, არადა როგორ გაიხარებდა მეგობრების და ახლბლების სტუმრობით. უკან დარჩა ნახევრად განვლილი გზა და სინანული-ნეტავ საფლავისთვის გავჩნდით ამქვეყნად

სრულიად ახალგაზრდა კაცი წავიდა ამ მართლაც წუთიუსოფლიდან, მან ახალი საუკუნის, ახალი თაობის მძიმე და რთული გზა გაიარა. ფოთელი ახალგაზრდის ყველა თვისება ბოლომდე ატარა, ამიტომაც უყვარდა იგი თანატოლებს, უფროს თაობას, რომელთა მიმართ განსაკუთრებულ სითბოსა და სიყვარულს გამოხატავდა.

ყველაზე დიდი ტკივილი შვილის ნაადრევი წასვლით მშობლებმა განიცადეს. ცხოვრება ტკივილით აივსოთ და სიბერე გაუმწარდათ ვალტერ და იზოლდა დგებუაძეებს. უკან დარჩა შვილის დაბადებით გამოწვეული სიხარული, ბავშვობა, ფიქრი მის მომავალზე. სკოლა და შვილის მეგობრებთან გატარებული ლამაზი დღეები. ბევრი იმედი და ოცნება უკავშირდებოდა გიას, იყო დაოჯახება, დიდებული მეუღლე ნანა მხეიძე, ცხოვრება თავისი გზით მიდიოდა, თუმცა დაუნდობელი ყოფილა სიკვდილი. მოულოდნელად დაანგრია სიყვარულის თანავარსკვლავედი. გლოვობენ მას ერთადერთი და ნანა დგებუაძე, სიძე ირაკლი ჭანტურია და დისშვილები. გლოვობენ ბიძები რომან სანაია, მოსკოვში მოღვაწე ფოთელი, რომელიც ყოველმხრივ ეცადა დახმარებას სნეულების დასამარცხებლად. ასევე განიცდის დისშვილის გარდაცვალებას ბიძა როლანდ სანაია და დეიდა თამრიკოსანაია, მამიდა ნათელა დგებუაძე.

ცრემლით და ტკივილით მიაცილებენ უკანასკნელ გზაზე მეგობრები, რომელთანაც გაატარა სიცოცხლის საუკეთესო წლები. თავსხემოთ ძალა არ არის, სხვა რა დაგვრჩენია - ჭიქა ღვინო და საფლავთან მიტანილი ყვავილები. გზა მშვიდობისა ჩვენო ალალმართალო ძმაო და მეგობარო, ღმერთს ებარებოდეს შენი დიდებული სული.

**მეგობრები**

---



8 წლის ბექა დავითაია ქალაქის ტკივილად იქცა. სამწუხაროდ, ექიმების ყველა ძალისხმევა მის გადასარჩენად, უშედეგო გამოდგა.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია მწუხარებას გამოთქვამს ბექა დავითაიას გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახსა და ახლობლებს.

---


## მხატვრული ხედვა, ახალი დიზაინი



*თუ გინდათ თქვენი სამუშაო ადგილი, ოფისის გარე ხედი, ინტერიერი გაალამაზოთ, მიმართეთ სარეკლამო სამსახურს.*

*თქვენს დაკვეთას შეასრულებს მხატვარ-დიზაინერი რევაზ ჭანტურია.*

*ტელ: 551 94 00 48 (რიონის სანაპირო, ბაზრის ტერიტორია)*



## განცხადება:

**ქირავდება ორსართულიანი კაპიტალური სახლი ქალაქის ცენტრში, განაშენიანებული ეზოთი.**
**მის:იერუსალიმის №4**
**ტელ: 551 499 555**


რედაქციის მისამართი: ქ.ფოთი, თამარ მეფის №52 , საკონტაქტო ტელ: (0493) 22-25-13 გაზეთი იბეჭდება ქალაქ ფოთში შ.პ.ს. ,,ირიდაში"
E-mail: k.khobalia@gmail.com
რედაქტორი ზ. აბრალავა